№ 2830
შაბათი,
28 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2830
შაბათი,
28 მაისი

ფასი :Ი ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წუ- დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

სოფ. ქოლევში (სადგ. გელათი) 25 მაისს გადაიცვალა

ილია იოსების ძე ჭიჭინაძე.

ამას აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე იმისი **ალექსანდრა ივანეს ასული, დედა, ძმები: ალექსი, ანდრია** და **ვარლამ, დები: ანეტა, ლუციანა, ელისაბედ** და **ელენე.** დაკრძალვა 29 მაისს. (3—2)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვ უ რ ჩ ე ვ თ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შ ე უ ვ ა ჟ ა რ ე ბ ლ ა დ. (0—36)

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(თვ.—6.—11) პატივის ცემით ვანო.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი აუწყებს თავად-აზნაურებს, რომ კვირას, 6 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება **საგანგებო კრება** გუბერნიის თავად-აზნაურებისა.

განსახილველი საგნები:

1. განაწილება ტფილისის სათავად-აზნაურო სიადგილ-მამულო ბანკის მოგებისა.
2. საკითხი თავად-აზნაურთა სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ფულის სესხების შესახებ; ეს ფული უნდა მოხმარდეს თავად-აზნაურთა საჭიროებებს;
3. საკითხი ვაჟთა გიმნაზიების დაარსების შესახებ გორისა და თელავის მაზრებში. (3—6.—3)

216 მანეთად წელიწადში ქირავდება სამი ოთახი ზემო სართულში წყლითა და ყოველის მოწყობილებით, დიდუბეში, ელისაბედისა და შერემეტიევის ქუჩაზე, სადაც რკინის გზის მაღაზიაა. (6—6.—4)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყველა მოსწავლე, რომელიც პირველ ივნისამდე არ შემოიტანს თხოვნას, მარიამობის თვეში გამოცდაზე შემდეგ კლასში გადასასვლელად ანუ დარჩენაზე იმავე კლასში მეორე წლით, ჩაითვლება სასწავლებლიდან გამორიცხულად და ყოველივე საბუთი ჩაბარდება პოლიციის საშუალებით.
(3—6.—1) დირექტორი ვ. ბაბანსკი.

რ ე ს ტ ო რ ა ნ ი
„ფ უ ნ ი კ უ ლ ე რ ი".
1 ს.—5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 28 მაისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.
1. შჩი სუტოჩნი პიროჟკებით.
2. სუფი ჟულე პიროჟკებით.
3. ტურნედო სოუს ბერნეს.
4. ზუთხი ვრილე.
5. ტარტელეტი მარწყვით.
და 6. ყავა.
მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.
5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ დიდელმანის ხელმძღვანელობით.
(0—20) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 12.

ე ქ ი მ ი
გ. ა. გედევანი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306.—16)

ე ქ ი მ ი
ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—2)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—27)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 მაისი.

ვლადივასტოკი, 24 მაისი (საკუთ. კორესპ.). გაგრძელება. როცა სროლა დაიწყო, „ბედოვი" შედგა და წითელ ჯვრის ბაირაღი გაშალა; ამის შემდეგ „გროზნი" გაქანებული წავიდა ვლადივასტოკისაკენ. იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი „ბედოვი"-ს მიუახლოვდა. ამბობენ, დავინახეთ, რომ „ბედოვი"-სთან ნავი მივიდა, მერე ისევ უკან წავიდაო. აფეთქების ხმაც გაუგონიათ. იაპონიის ნაღმოსანმა, რომელიც „გროზნი"-ს გამოუდგა, მთლად მიიპყრო რუს მეზღვაურების ყურადღება, ამიტომ სწორედ არ იციან, ჩაიძირა „ბედოვი", თუ არა. იაპონიის ნაღმოსანი და „გროზნი" ერთმანეთს ზარბაზანს ესროდნენ 22 კაბელტოვის სიშორიდან, მერე 12 კაბელტოვის მანძილზე დაახლოვდნენ. „გროზნი"-ს 10 ყუმბარა მოჰხვდა. ერთი ყუმბარა პროჟექტორს მოჰხვდა ხიდზე, მიჩმანი და მატროსი მოჰკლა და გემის უფროსი და მესაჭე დასჭრა. „გროზნი"-დან მარჯვედ გასროლილი ყუმბარა იაპონიის ნაღმოსანს შუბლის ქვაბში მოჰხვდა და საკვამლე მოაგდებინა. კიდევ რამდენისამე სროლის შემდეგ ნაღმოსანმა ხშირი ორთქლი აუშვა, გვერდზე გადიხარა და თითქმის ერთ წამს ჩაიძირა; ქარიშხალმა და ქვა-ნახშირის უქონლობამ ნაღმოსანთან მისვლა დაუშალა „გროზნი"-ს. ქვა-ნახშირი არ ეყო, გემის ხის ნაწილებსა და მებელს სწვავდნენ. მთელი ღამე ჰხედავდნენ პროჟექტორების სხივებს. ყველანი თავზარდაცემულნი არიან დამარცხებისაგან და დღემდე გონს ვერავინ მოსულა. ყველანი გამარჯვების იმედით მიდიოდნენ. საუკეთესო ჯავშნიან გემების დაღუპვა, ტრანსპორტები, რომლებიც ძლიერ აბრკოლებდნენ ესკადრის მოძრაობას; უფროსობის გადაცემა, ნაღმები, იაპონიის ფლოტიც ზღვის წყლისა და რუხ ფერად იყო შეღებილი, რის გამო გემები აღარ სჩანდნენ,—ყველა ეს საკმაოდ ჰხსნის დამარცხების მიზეზს. გემების ტყვედ დანებებამ აქ ყველანი ერთნაირად გააკვირვა. ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ასეთი საქმე მოხდებოდა. ვინც ტყვედ წაყვანილ გემების აფიცრებსა და მატროსებს იცნობდა, უფრო გაკვირვებულნი არიან.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგ"-ი იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ შეატყობინა თავის ელჩს პეტერბურგში, გააგებინე როგორმე რუსის მთავრობას, რომ საფრანგეთი მზადაა შუამავლობა გასწიოს შერიგების დროს, თუ ეს რუსეთის განზრახვას შეეფერებაო. პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

ვაშინგტონი, 24 მაისი. ადმ. ენკვისტს ნებას მისცემენ იმდენი ქვა-ნახშირი წაიღოს, რამდენიც ვლადივასტოკამდე მისაღწევად ეყოფა.

მანილა, 24 მაისი. კრეისერ „ავრორა"-ს საჭეს აპარატი დაზიანებული აქვს. გემებს გასავლელად სხვა ვადა დაუნიშნეს. „ჟემჩუგ"-ს 150 ტონა ქვა-ნახშირს მისცემენ, „ავრორა"-ს 200 ტონას. „ოლეგი" იმნაირადაა დაზიანებული, რომ ამ გემის გასვლა ზღვაში საშიში იქნება.

ტოკიო, 24 მაისი. ადმირალ ტოგოს გემი „მიკაზა" ბრძოლის დროს უმნიშვნელოდ დაზიანდა და ეხლა მზადაა სამხედრო მოქმედებისათვის. „მიკაზა"-ზე 16 აფიცერია დაჭრილი. ადმირალი ტოგო თავის ჯავშნიან გემით იაპონიის ყველა სხვა გემზე უფრო ახლო მივიდა რუსის გემებთან. სასებოში დაბრუნების შემდეგ, ტოგომ უბძანა თავის აფიცრებსა და მატროსებს, გემიდან ხმელეთზე არ გადახვიდეთო; თითონ ადმირალიც გემიდან არსად წასულა ვიდრე 20 მაისამდე, როცა ადმირალ როჟესტვენსკის სანახავად წავიდა.—იმ დროს, როცა იაპონელებს ჯავშნიანი გემი „ორიოლი" მიჰყავდათ, 10 რუსის მექანიკმა შეთქმულობა გამართეს გემის თოფის წამლით ასაფეთქებლად და 15 მაისს გემის ბოლოში ყუმბარების საწყობ ქვეშ ასაფეთქებელი პატრონა დაუდეს. იაპონელებმა შეიტყეს ეს განზრახვა, ძლიერ აღელდნენ, შეთქმულობის რვა მეთაური დაუყოვნებლივ თოფით დახვრიტეს და გემი სასებოს ნაცვლად უფრო ახლობელ პორტში მაიცურუში წაიყვანეს. 12 მატროსი საშინლად იტანჯებოდა ჰრილობისაგან და ამხანაგებს სთხოვეს, დაგვხოცეთო. ამხანაგებმა გემიდან გადაყარეს და ზღვაში დაიღუპნენ. „ორიოლ"-ის უფროსი გზაში გარდაიცვალა, გემის მაიცურუში მისვლამდე ნახევარ საათის წინ.—ოფიციალურად იუწყებიან, საზღვაო ბრძოლაში წყალ-ქვეშ მავალი ნავები იღებდნენ მონაწილეობასაო.

შანხაი, 24 მაისი. ვუზუნში იაპონიის ორ კონტრ-ნაღმოსანს მოელიან.—ფიქრობენ, გენ. მიშჩენკო დიდის ცხენოსან რაზმით შენშიატუნის აღმოსავლეთით იმყოფება ჩანჩუნისა და ფენხუას გზის დასაცველადაო; ამ ორ ადგილიდან რუსებს საკვები სურსათი მოსდით.—რუსის ოთხი მაშველი კრეისერი და ერთი დიდი კრეისერი 22 მაისს ამოის ახლო იმყოფებოდა.

ტოკიო, 24 მაისი. ომის დაწყების აქეთ, იაპონიის საავადმყოფოებში 120 ტყვე რუსი გარდაიცვალა, პორტ-არტურისა და ქალ. დალნიში—1400.

ნიუ-იორკი, 25 მაისი. ენკვისტის კრეისერებს, ალბად, მანილაში დასტოვებენ, რადგან ამერიკის მთავრობას ეშინიან, ვაი თუ სამუდამო წესად დაიდვას, თუ ეხლა რუსის გემებს ნებას მივსცემთ შესაკეთებლად დარჩენოო. მთავრობა იმ საბუთით ხელმძღვანელობს, რომ ქარიშხალმა-კი არა, ბრძოლამ მოაძებნინა რუსის გემებს თავშესაფარიო, აგრეთვე იმით, რომ კრეისერებს 69 დღე დასჭირდებათ შესაკეთებლადაო.

ლონდონი, 25 მაისი. ბევრი კეთილმოსურნე სცდილობს რუსეთ-იაპონიას შორის ზავის ჩამოგდებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცდას საყურადღებო შედეგი არ მოჰყოლია. გუშინ მოხდა სხდომა პარლამენტის სავაჭრო კომიტეტისა, რომელსაც დაესწრო საზოგადოებათა პალატის მრავალი წევრი. მიღებულ იქნა რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ იშუამდგომლონ ინგლისის მთავრობის წინაშე, ზომები მიიღოს ზავის ჩამოსაგდებად. ამ გადაწყვეტილებას იმიტომ დაადგნენ, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ერთმა ჯგუფმა წინადადებით მიმართა ამ საგნის შესახებ. დე ტურნელ დე კონსტანმა სურვილი გამოსთქვა შეაერთონ ორივე რეზოლიუცია და ერთსა და იმავე დროს წარუდგინონ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მოთხოვნილებით, ეცადნენ რუსეთ-იაპონიის შორის ზავის ჩამოსაგდებად. ინგლისის რეზოლიუცია ბალფურს გადასცეს. ტექსტი დეპეშით აცნობეს ბარონ კონსტანს.

26 მაისი

კორსაკოვის პოსტი (სახალინი), 21 მაისი. წელს წავიდა აქედან 2 ათასზე მეტი მოახალშენე. მიზეზი— გასული წლის მოუსავლობაა, სურსათის სიძვირე, პურის უქონლობა, ქურდობა და კაცის კვლა. იაპონელი ყაჩაღები-მეთევზეები მოდიან პატარა გემებით სახალინის ნაპირებთან და იარაღით წინააღმდეგობას უწევენ რუსის რაზმებს. სროლა იყო. მოკლულია 5 იაპონელი.

ტოკიო, 25 მაისი. ტყუილია ის ცნობები, ვითომც ადმ. როჟესტვენსკი ბრძოლამდე ყოფილიყვეს ავად. იაპონელებმა უარი უთხრეს როჟესტვენსკის ძმისწულს ბიძის მოვლაზე, რადგანაც ეშინოდათ, ნათესავის სიახლოვე ცუდათ იმოქმედებს ავადმყოფზეო. იაპონელებმა როჟესტვენსკის ჰკითხეს აზრი ამის შესახებ. მან უპასუხა, აქ ისე მივლიან, რომ სრულებით არ ვგრძნობ მტრის ქვეყანაში ყოფნასო. თვითონ მთავარი ექიმი უგდებს ყურს ადმირალისთვის საჭმლის მომზადებას.

მანილლა, 25 მაისი. „დეილი-მეილი" იუწყება სარწმუნო წყაროდან, რუსეთის გემებს იარაღს აჰყრიანო.

გონკონგი, 25 მაისი. რუსების მიერ დაჭერილ ბრიტანიის გემის უფროსი აფიცერი ამბობს, რუსის კრეისერ „დნეპრ"-ის მეზღვაურებს არ სჯეროდათ როჟესტვენსკის დამარცხების ამბავი. კაპიტანი განაგრძობდა სიარულს იაპონიასა და ფორმოზას შორის და უთვალ-თვალებდა გემებს, რომლებზედაც იაპონიის პორტებში წასაღები კონტრაბანდა იქნებოდა.

ტოკიო, 23 მაისი. ოფიციალური. იაპონელებმა შეავიწროვეს რუსები შახეცზიდან 10 მილის მანძილზე ჩანტუფუს აღმოსავლეთით და დაიჭირეს იქ პოზიცია. განაძევეს აგრეთვე კავალერიის პოსტები მეზობელ მაღლობებიდან. კავალერიამ უკან დაიხია. შემდეგ რუსები გაძევებულ იქნენ სანცზიაცზიდან, 8 მილზე, მადიონის დასავლეთით და აგრეთვე მადიონიდან; ორივე ეს ადგილი იაპონელებმა დაიჭირეს.

შანხაი, 25 მაისი. იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი წავიდა შანხაიდან ტოკიოში.—„დეილი-ტელეგრაფ"-ს გაუგია, წყალ-ქვეშ მავალი ნავები ვერ გამოიყენეს იაპონელებმა ბრძოლაში, რადგანაც ზღვა ძლიერ ღელავდაო.

პეტერბურგი. მთავარი საზღვაო შტაბი აცხადებს, იაპონიიდან მოსულ ოფიციალურ ცნობებით ჯავშნოსან „იმპერატორ ნიკოლაი 1"-ზე მოკლულია ლეიტენანტი ბარონი კარლ-მირბახი; დაჭრილია პირველ რანგის კაპიტანი სმირნოვი, მეორე რანგის კაპიტანი კუროში, ფლოტის შტურმანების კორპუსის პოდ-პოლკოვნიკი დიმიტრი ფედოტიევი, მიჩმანი ვლადიმირ სუიკოვსკი და 23 უბრალო მეზღვაური.

27 მაისი.

ვაშინგტონი, 25 მაისი. ოფიციოზურ წყაროდან იუწყებიან, შეერთებულ შტატებს ზოგიერთ კონტინენტალურ სახელმწიფოებთან ერთად იმედი აქეთ, 48 საათის განმავლობაში წარუდგინონ რუსეთს ფორმალურად აზრი ზავის ჩამოგდების შესახებ. რუზველტის აზრით, რუსეთის მოსპობა წყნარ-ოკეანეში ვერაფერი გამოსადეგია შეერთებულ შტატებისთვის; ამ მოსაზრებით ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ რუზველტი სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე ზავი ჩამოვარდეს.

ქრისტიანია, 25 მაისი. სტორტინგმა გადააყენა მეფე, გამოაცხადა ნორვეგიის დამოუკიდებლობა და თხოულობს, ნორვეგიის მეფედ გამოცხადებულ იქმნას ერთი უმცროსი პრინცთაგანი შვეციის სამეფო გვარეულობისა.

მოსკოვი, 25 მაისი. გუშინ საღამოს თავი მოიყარა 500-მა მოსწავლემ და გამართა ტვერის საბაჟოდან გრადონაჩალნიკის სასახლისაკენ. პოლიციამ და ჟანდარმებმა გაჰფანტეს ისინი.—მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტებმა გადასწყვიტეს არ მიიღონ შემოდგომაზე პროფესორის ადგილები, რომლებიც განთავისუფლდა პროფესორთა დათხოვნის შემდეგ.

კალუგა, 25 მაისი. დღეს დაიმსხვრა საქონლისა და მგზავრთა მატარებელი. მოკლულია ვაგონის მწმენდელი და მღვდელი. დაშავდა 13 კაცი, მათგან სამი მძიმედ.

ქრისტიანია. არ მოელოდნენ ასე ჩქარა შვეციისა და ნორვეგიის პირად უნიის მოსპობას. დღეს მთავრობამ—სტორტინგმა გამოაცხადა, ყველა მოხელეს ერთმევა რწმუნების უფლება და შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „რადგან სახელმწიფო საბჭოს ყველა მოხელეს რწმუნების უფლება ჩამოერთვა, და მეფემ გამოაცხადა, არ შემიძლია ახალ მთავრობის შედგენაო, კონსტიტუციონური უფლება გაუქმებულადაა ცნობილი. სანამ შემდეგ განკარგულებას მიმართავდეს, სტორტინგი უფლებას აძლევს სახელმწიფო საბჭოს წევრებს, რომელთაც ჩამოერთვათ წინანდელი უფლებები, შეუდგეს სამეფო მართვა-გამგეობას, როგორც ნორვეგიის მთავრობა, არსებული კანონებისა და კონსტიტუციის თანახმად. გამოცხადებულია შვეციასთან პირად უნიის გაუქმება, აგრეთვე ისიც, რომ მეფემ ხელი აიღო ნორვეგიაში მართვა გამგეობაზე.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით მინისტრთა საბჭო 26 მაისს შეუდგება შინაგან საქმეთა მინისტრის მოსაზრებების განხილვას 1905 წ. 18 თებერვლის რესკრიპტის განხორციელების შესახებ.

პრეტორია, 25 მაისი. ბურები ძლიერს ოპოზიციას უწევენ ინგლისელებს; ისინი ცდილობენ ფარზე დგანან მათის სახელის სამხედრო სიაში შეტანაზე.

პარიზი, 25 მაისი. უმაღლესმა საზღვაო საბჭომ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ კონტრ-ნაღმოსნების რიცხვი ძლიერ უნდა იქნეს გადიდებული. საფრანგეთის პრესა სიამოვნებით ეგებება დელკასეს გასვლას სამსახურიდან, რადგანაც ის გაუფრთხილებელ და საფრანგეთისთვის საშიშ პოლიტიკას ეწეოდა.

27 მაისი.

მოსკოვი, 36 მაისი. მოსკოვის ვაჭრებმა შუამდგომლობა აღძრეს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რაც შეიძლება ჩქარა გადაკეთდეს მოსკოვის კომერციული კურსები სპეციალურ კომერციულ ინსტიტუტათ.

სოხუმი, 26 მაისი. ქალაქში სრული გაფიცვაა. დახურულია ყველა საპორტო და სამრეწველო დაწესებულებანი.

ვარშავა, 26 მაისი. გუშინ დღისით ქუჩაზედ მოჰკლეს მეფაბრიკე ნეიმანოვიჩი. მკვლელი დაიჭირეს.

კოპენჰაგენი, 26 მაისი (ბერლინის გზით). გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია საზღვაოსნო საქმეების შესახებ. მონაწილეობას იღებდა ასი დელეგატი სხვა და სხვა ამხანაგობებისა, რომელნიც ბალტიისა და თეთრს ზღვაში მოქმედებენ.

მადრიდი, 26 მაისი. დუკე ოქტომბერში ინახულებს ესპანიის მეფეს.

ტანჟერი, 26 მაისი. დელკასეს გასვლას სამსახურიდან დიდის სიამოვნებით მიეგებნენ მაროკოს წრეები. ჰფიქრობენ, აუცილებელია ტაილანდიეს გასვლა სამსახურიდანო.

სტოკჰოლმი, 25 მაისი. მეფე ოსკარმა უარს თქვა ნორვეგიის ტახტზე თავის შვილის სასარგებლოდ. ირწმუნებიან, წინანდელ დროში ნორვეგიის ანარხისტების მეთაურნი სცდილობდნენ ნორვეგიის ტახტზე ერთ-ერთი უმცროსი ჰოჰენცოლერნი დაესვათო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 მაისი.

ტოკიო, 24 მაისი („რეიტ. სააგ."). როჟესტვენსკი ნელ-ნელა რჩება, საწოლიდანაც შეუძლია ადგომა, მაგრამ სულ ორის თვის შემდეგ განიკურნება. ტოგომ მეორედ ინახულა ადმირალი და ბოდიში მოიხადა, საავადმყოფო არ არის რიგიანად მოწყობილიო.

ვაშინგტონი, 24 მაისი („რეიტ. სააგ."). მანილიის გუბერნატორის შეკითხვაზე რუზველტმა უპასუხა, საჭიროა სანეიტრალო კანონი სასტიკად იქმნას დაცული და ამიტომ რუსთა გემები 24 საათის შემდეგ უნდა წავიდნენ პორტიდანო.

ლონდონი, 24 მაისი. „რეიტერის სააგენტოს" გაუგია, რომ იაპონიას ჯერ არ შეუდგენია მშვიდობიანობის პირობები და არავისთვის არ წარუდგენია. ლაპარაკი აღძრეს მხოლოდ კერძო პირებმა, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველჰყონ მშვიდობიანობა.

სახალინი, 24 მაისი. მოუთმენლად ელიან ნავოსნობის დაწყებას. მოხელეთა ოჯახები ემზადებიან აქედან ციმბირში წასასვლელად, მიუხედავად იმისა, რომ საშუალება არა აქვთ. მცხოვრებთა რიცხვი შესამჩნევად შემცირდა.

მანილლა, 24 მაისი („რეიტერი"). ენკვისტმა იჯარით გასცა მეზღვაურთა ტანთსაცმელის დამზადების საქმე. ადმირალმა ტრენმა იკისრა რუსების გემების დაცვა. როდის უნდა წავიდნენ გემები, 25 მაისს გადაწყდება.

ტოკიო, 24 მაისი. ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, რომ უკანასკნელ ბრძოლაში წყლის ქვეშ მავალმა ნავებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ტოკიო, 24 მაისი. ოფიციალური დიპლომატური წრეები განაგრძობენ მოლაპარაკებას ინგლის-იაპონიის შუა კავშირის განახლების შესახებ. საზოგადოება აღნიშნავს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავშირს ორსავე სახელმწიფოსათვის: უიმისოდ საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩენდა როჟესტვენსკის, მისცემდა ნებას ინდო-ჩინეთის წყლებში დარჩენისას, ხოლო ეს ვნებას მოუტანდა ინგლისის ვაჭრობასაო.

მანილლა, 24 მაისი („რეიტ. სააგ."). ადმ. ენკვისტი ამბობს: „როცა ბრძოლა დაიწყო, მე, ჩემის ესკადრით, ბევრად წინ ვიყავი როჟესტვენსკის ესკადრაზე; „ოლეგ"-ითა, „ავრორა"-თი და „ჟემჩუგ"-ით დასაზვერავად ვიყავი წინ გაგზავნილი. რუსეთის გემები, შავად და თეთრად შეღებილი, კარგად სჩანდნენ შორიდანაც; ხოლო მწვანეთ შეღებილს იაპონიის გემებს ძლივს გაარჩევდი ზღვის ტალღებისაგან. მალე რუსეთის უმთავრესი გემები მიიმალნენ და ვიფიქრე, ისინი დაამარცხეს და განფანტეს; ამიტომ კაცთმოყვარეობამ მაიძულა და ბრძოლის ველს გავშორდი."

ბერლინი, 25 მაისი. დელკასეს სამსახურიდან გადადგომამ აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. „ლოკალ-ანცაიგერ"-ის აზრით, საფრანგეთი ეხლა დიდ ნდობას დაიმსახურებს იაპონელთაგანაც; ამიტომ მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეც ამიერიდან უკეთ წავა.

პეტერბურგი, 24 მაისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. ლინევიჩისა: „ბრძოლის ველზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა".

ლონდონი, 25 მაისი. კიდევ ხმა დადის შერიგებაზე, მაგრამ ზავის შანსი მაინც

შემცირდა, რადგან, ეტყობა, იაპონია უარს ამბობს და თავის პირობებს არ აცხადებს, თუმცა თანახმაა შერიგებისა.

ნაგასაკი, 25 მაისი. ინგლისის გემი „ცელიურნუმი“, იაპონიის ამხანაგობისაგან დაქირავებული და შანხაიდან კობეში მიმავალი, 20 მაისს რუსის კრეისერს „რიონ“-ს დაეყენებინა ვუზუნიდან 80 მილის მანძილზე. გემის ქაღალდები და საქონლის საწყობი გასინჯეს რუსებმა და 411 ტომარა ცერცვი, 125 ცალი ბამბა, 12 ყუთი სურმა გადაყარეს ზღვაში, მერე უცებ თავი გაანებეს გემს და წასვლის ნებაც მისცეს. ფიქრობენ, რუსებს უმავთულო ტელეგრაფით იაპონელების მიახლოვება შეატყობინესო.

პეტერბურგი, 25 მაისი. ადმირალ როჟესტვენსკის უქვეშევრდომილესი დეპეშა, ტოკიოდან 24 მაისს, დილის 11 საათსა და 30 წუთს გამოგზავნილი: 14 მაისს, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ., ცუსიმას სამხრეთ ნაწილისა და იაპონიის შუა შევებრძოლეთ იაპონიას უმთავრეს ფლოტს—12 დიდ გემს და სულ მცირედ 12 კრეისერს. 2 ს. 30 წ. „სუვოროვ“-ზე მმართველობის გამგეობის გადატანა ცენტრალურ პოსტზე მოგვიხდა, 3 ს. 30 წ. მე, რაკი გონება მეკარგებოდა და ჩემის შტაბის ნაწილი დაგვსხეს „ბუინი“-ზე, სადაც უკვე იმყოფებოდა დაღუპულ „ოსლიაბია“-ს მეზღვაურების ნაწილი, უფროსობა ნებოგატოვს გადავეცი. ღამით „ბუინი“-ს ესკადრა დაეკარგა. დილით „დმიტრი დონსკოი“ და ორი ნაღმოსანი დავინახეთ. „ოსლიაბია“-ს მეზღვაურები „დმიტრი დონსკოი“-ზე გადაიყვანეს, მე „ბედოვი“-ზე, რომელიც შემდეგში „გრომკი“-ს გაჰყვა. 15 მაისს საღამოს შევიტყე, რომ „ბედოვი“ იაპონიის ორს ნაღმოსანს ტყვედ დაჰნებებოდა. „ბედოვი“ სასებოში 18 მაისს მოიყვანეს. შემატყობინეს, რომ ნებოგატოვი სასებოში იმყოფებაო“.

მანილა, 25 მაისი. რუზველტის განკარგულებით, რუსის გემები მოვალენი არიან 24 საათში ნავთ-სადგური მიატოვონ, ან უნდა დატუსაღებულ იქმნენო. ეს განკარგულება დღეს დილით 11 საათზე შეატყობინეს ენკვისტს.

ტოკიო, 25 მაისი. გუშინ „რეიტერის“ კორესპონდენტმა ჯავშნიანი გემი „ორიოლი“ დაათვალიერა. გემი ორმოცგანაა განგრეული, პალუბები დაცხავებული აქვს; თორმეტ-დიუიმიანი ზარბაზანიც დანგრეული აქვს; ზარბაზნის ნამტვრევებს უფროსის ხიდის მოაჯირი და მეორე ზარბაზნის კლიტე დაუმსხვრევიათ. გემზე რამდენჯერმე გაჩენილა ცეცხლი, გემის შუაკედლები სისხლითაა გათხუპნული; ადამიანის ხორცის ნაჭრები და თმაც მიჰკვრია კედლებს.

ლონდონი, 25 მაისი. ზოგიერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილი დეპეშა იმის შესახებ, ვითომ ბალფურს გამოეცხადებინოს, იაპონიამ ჩილისა და არგენტინაში 5 გემი იყიდაო, სწორე არა. ბალფურმა სთქვა, იაპონიამ არგენტინისაგან ორი გემი იყიდა და არ ვიცით, არგენტინას აქვს განზრახვა სხვა გემები ინგლისის მთავრობას მიჰყიდოს თუ არაო.

26 მაისი.

მანილა, 25 მაისი, „დეილი-მეილი“. რუსის გემებიდან ფოტოგრაფიული სურათები გადაიღეს. ეს სურათები საბუთად გამოადგება ენკვისტს, თუ ვინიცობაა სამართალში მისცეს.

ვაშინგტონი, 25 მაისი. ადმინისტრაციის წრეებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ რუსეთი ექვით უცქერის რუზველტის მოქმედებას ზავის სასარგებლოდ და იმისი გულ-წრფელობა არა სწამს. პრეზიდენტთან დაახლოვებულმა პირებმა იციან, რომ რუზველტს შეერთებულ შტატების ინტერესების შესაფერისად არ მიაჩნია რუსეთის ძლიერების მოსპობა წყნარ-ოკეანეში. დღეს რუზველტს იტალიის ელჩი ეთათბირა. ფიქრობენ, რომ სახელმწიფოები საერთო მოქმედებით ომს მოასპობინებენო. ნახევრად ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, ამერიკას იმედი აქვს 48 საათში რუსეთს ფორმალური წინადადება წარუდგინოს ზავზეო.

ვაშინგტონი, 25 მაისი. კასინიმ გუშინ გძელი დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან. ირწმუნებიან, ეს რუსეთის პასუხია კასინის მიერ გაგზავნილ რუზველტის წინადადებისა. იაპონიის ელჩი ტაკახირა გუშინ პრეზიდენტს ეთათბირა, შემდეგ დეპეშა გაგზავნა ტოკიოს. ელჩმა გამოუცხადა კორესპონდენტებს, მდგომარეობა სერიოზულია, ჯერ ჩუმად უნდა ვიყოთო. ირწმუნებიან, რუზველტი ტაკახირას შემწეობით ცდილობს სწორედ შეიტყოს იაპონიის მთავრობის შეხედულობა ზავზე. გერმანიის ელჩი დაბრუნდა აქა.

მანილა, 26 მაისი. ენკვისტმა ბძანება მიიღო პეტერბურგიდან, მანილაში დარჩით ამერიკის მთავრობის განკარგულებაში და დაზიანებული გემები შეაკეთეთო. ადმირალმა ტრენმა განკარგულება მოახდინა, რომ რუსის გემებს ბინა უჩვენეთ დასადგომად და რუსის აფიცრებსა და მატროსებს ულუფა მიეცეთო.

ხიროშიმა, 26 მაისი. „სისოი ველიკი“-ს უფროსი კაპიტანი ოზეროვი 24 მაის მოვიდა აქა და ილაპარაკა, რომ „სისოი ველიკი“ 14 მაისს, დილის 9 საათზე ცუსიმასთან კრეისერ „ტცუმო“-ს შეხვდა, შემდეგ იაპონიის სხვა გემებს და მერე იაპონიის უმთავრეს ესკადრას. ბრძოლამ ნაშუადღევიდან ღამემდე გასტანა. საღამოს 7 ს. 30 წ. „სისოი ველიკი“-ს ყუმბარებმა საჭეს აპარატი დაუნგრიეს; ღამე ნაღმოსნებმა მოიტანეს იერიში, ერთი ნაღმი მოჰხვდა გემს და ცეცხლი გაჩინა. 15 მაისს დილის 9 საათზე „სისოი ველიკი“ ჩაიძირა ცუსიმიდან 30 მილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. „სისოი“-ზე მოკლულია 2 აფიცერი და 27 მატროსი. ვინც ცოცხალი დარჩა, ზღვაში გადავარდა და იაპონელებმა დაიხსნეს. იაპონელები კარგად ექცეოდნენ რუსებს. კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ“-ის კაპიტანმა რადლოვმა სთქვა, კრეისერს ბევრი ყუმბარა მოჰხვდა. ღამით კონტრ-ნაღმოსნები დაგვეცნენ და ნაღმებით გემი დააზიანეს; კრეისერს წყალი შეუვიდა და ჩაიძირა. მეზღვაურების მომეტებული ნაწილი იაპონელებმა გადაარჩინესო.

ტოკიო, 26 მაისი. ოფიციალური. დილის 12 საათის ნახევარი. 24 მაისს 160 კაცი რუსის რაზმისა ლაშქრით წავიდა სუმიაცზუსაკენ. იაპონელები გაემართნენ რუსების წინააღმდეგ სუმიაცზუდან. რუსებმა დაიხიეს ნენუღინისაკენ, 7 მილის მანძილზე ვიუანპუმინის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაჰკარგეს რა ერთი სალდათი და ორი ცხენი. დანარჩენში არავითარი ცვლილება არაა. ზოგჯერ შეტაკება მოსდით მზვერავებს.

ბერლინი, 26 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობით, პორტ-არტურიდან წასულა რუსეთში გენ. ბალაშოვი და უკანასკნელი ტყვე-რუსი და თან კონდრატენკოს გვამი მიაქვთ.

ბერლინი, 26 მაისი. „რეიტერი“-ს ცნობამ იმის შესახებ, რომ რუსეთის ელჩებს პარიზსა და ვაშინგტონში მიენდოთ ვაიგონ იაპონიის პირობანი ზავზეო, ძლიერი შთაბეჭდილება იქონია აქა.

ლონდონი, 25 მაისი. პრესსა მწუხარებას აცხადებს დელკასეს სამსახურიდან გასვლის შესახებ და ამბობს, ამ გარემოებას უფრო სერიოზული შედეგი მოჰყვება რუსეთისათვის, ვიდრე საფრანგეთისათვის. რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი სოციალისტთა პარტია საფრანგეთში ძლიერ შეიქნება, ხსენებულ მთავრობის პრესტიჟი დასუსტდება. გერმანიამ აღძრა მაროკოს საკითხი იმ აზრით, რომ დელკასე გადაეყენებინათ სამსახურიდან, რადგან ორ სახელმწიფოს კავშირმა და ინგლის საფრანგეთის შეთანხმებამ განამარტოვა გერმანია.

ბერლინი, 25 მაისი. დელკასეს სამსახურიდან გასვლას სრულის კმაყოფილებით მიეგებნენ. რაინდთა დარბაზში ვახშმის დროს იმპერატორმა გამოაცხადა ახალ-დაქორწინებულთა სადღეგრძელო.

ციტინიე, 25 მაისი. ბარიცასა და კრუშიცაში კაცის კვლაა. მოკლულია ბევრი მაჰმადიანი. ემზადებიან ქრისტიანებზე თავდასასხმელად. სახელმწიფოებმა ენერგიული წინადადებით მიმართეს პორტას საზღვარზე მშვიდობიანობის მუდმივ დარღვევის გამო.

ხედჟიდა, 25 მაისი (არაბეთი). ერთი კვირის წინად მეამბოხეებმა დაიპყრეს ქალაბა და იბი, გარემოიცვეს ტაიზი. ჰგზავნიან მაშველ ჯარს.

კიევი, 25 მაისი. სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით მეოთხე კურსის სტუდენტებს მიეცათ ნება ენკენისთვეში დაიჭირონ ეგზამენი. ვინც არ დაიჭერს ეგზამენს, ნებას მისცემენ მომავალ წელს დაიჭირონ, როგორც ექსტერნები. კურსზე იმათ არ დასტოვებენ.

ქრისტიანია, 25 მაისი. სტორტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია რომელიც სახელმწიფო საბჭოს ანდობს მეფის თანამდებობის შესრულებას შვეციასთან უნიის გაწყვეტისა და მეფის მიერ ნორვეგიის ხელმწიფის თანამდებობის შესრულებაზე უარის თქმის გამო. მეფეს მიართვეს ადრესი, რომელშიაც აცნობეს მას სტორტინგისაგან მიღებული ღონისძიებანი; სტორტინგი სთხოვს მეფეს, დაგვეხმარე, რომ სამეფო სახლის ერთ-ერთ უმცროს პრინცთაგანმა მიიღოს გვირგვინიო.

სტოკჰოლმი, 25 მაისი. მეფემ დეპეშით აცნობა სტატს-სეკრეტარ მიხელსანს პროტესტი მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ.

მოსკოვი, 25 მაისი. ქალთა სრულიად რუსეთის კავშირის განყოფილებამ შეიმუშავა რეზოლიუცია ომის წინააღმდეგ; მან გადასწყვიტა ამ რეზოლიუციით მიმართოს რუსეთის ყველა ქალებს. მზადებაში არიან მომავალ მობილიზაციისთვის. ქალაქი ყაზარმებსა და ბარაკებს ამზადებს. არსდება ლიტერატორთა კავშირის განყოფილება.

ქერჩი, 25 მაისი. ახალმა საბჭომ წარუდგინა ხელმწიფეს ადრესი იმის შესახებ, რომ საშიშია ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის კიდევ გადადებაო.

სარატოვი, 25 მაისი. ხმოსანთა ჯგუფმა მიმართა ქალაქის თავს წერილობითი განცხადებით, საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა უნდა გამართოს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დაყოვნებაო.

მოსკოვი, 25 მაისი. დღეს ქალაქის საბჭოში უნდა განეხილათ 90 ხმოსნის განცხადება ხალხის წარმომადგენელთა დაუყონებლივ მოწვევის შესახებ, მაგრამ ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, გრადონაჩალნიკისაგან წინადადება მომივიდა, ხალხისადმი წერილი წაკითხული, რომელშიაც ნათქვამია, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ხმოსნების განცხადების განხილვა აკრძალულიაო. საბჭომ სახეში მიიღო საქალაქო დებულება, სენატის განმარტებათ და 18 თებერვლის უმაღლესი ბრძანება, დაადგინა, უფლება გვაქვს განვიხილოთ განცხადება და 80 ხმით 20-ის წინააღმდეგ საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ხალხის წარმომადგენელნი და პირველად განიხილონ საკითხი ომის მოსპობის შესახებ. ეს დადგენილება გადაეცემა მინისტრთა საბჭოს 18 თებერვლის ბრძანების ძალით. სხდომის ჟურნალი ხალხის დასწრებით წაიკითხეს.

სამარა, 24 მაისი. საბჭომ ერთხმად დაადგინა, ბოლო დროს ბრძოლის ველზე მომხდარ ამბების გამო, აღძრას შუამდგომლობა დაუყოვნებლივ ომის მოსპობის შესახებ.

ყაზანი, 24 მაისი. საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა, სთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, გადასცეს ხელმწიფეს საბჭოს შუამდგომლობა ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ.

სტოკჰოლმი, 24 მაისი. ადგილობრივი პრესსა ჯერ-ჯერობით აშკარად არ სჯის ნორვეგიაში მომხდარ ამბების შესახებ, მაგრამ ყველა გაზეთი ამტკიცებს, რევოლიუცია მოხდა და შვეციისა და ნორვეგიის შორის უნია დაარღვია არა მარტო ნორვეგიამ, არამე თვით შვეციამაცაო.

პარიზი, 24 მაისი. რუვიემ ჩააბარა გარეშე საქმეთა სამინისტრო და გამოაცხადა, კაბინეტის საზოგადო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო

პეტერბურგი, 25 მაისი. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, 26 მაისს, მინისტრთა საბჭო შეუდგება შინაგან საქმეთა მინისტრის განზრახულებათა განხილვას იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა ასრულებულ იქმნას 18 თებერვალს ჰოფმეისტრის ბულიგინის სახელზე გამოცხადებული უმაღლესი ბრძანებები.

26 მაისი.

ქრისტიანია, 26 მაისი. გუშინ ვაჭრობის დეპარტამენტის გარეშე განყოფილება ცალკე დეპარტამენტად გამოაცხადეს. გარეშე საქმეთა მინისტრად ლეფლანდი დანიშნეს. დაადგინეს, უნიის ნიშანი მოისპოს სამხედრო ბაირაღებზე. სამხედრო დეპარტამენტმა გამოუცხადა არმიას, სახელმწიფო საბჭო შეუდგა ნორვეგიის სახელმწიფო საქმეების მართვასაო.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. „სტოკჰოლმ დაგბლადტ“-ი იუწყება: ის ნორვეგიელები, რომლებიც გარეშე საქმეთა სამინისტროში მსახურებენ, სამსახურიდან გადადგნენ. „სტოკჰოლმ ტიდნინგენ“-ი ამბობს, სტორტინგის საბუთები სუსტია და მეფის გადაყენების მოთხოვნას ვერ ამართლებენო. მეფემ უარი თქვა დადგენილების დამტკიცებაზე, რადგან ეს დადგენილება უნიასა და სახელმწიფო უფლებას არღვევდაო.

ყაზანი, 26 მაისი. „ვოლჟსკი ლისტოკ“-ი იუწყება: გესტის ფაბრიკამ 5 ათასი გირვანქა თამბაქო შესწირა ჯარს შორეულ-აღმოსავლეთში. თამბაქო ბაჟისაგან განთავისუფლეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს. ფაბრიკამ ცნობა მიიღო, რომ თამბაქო სალდათებისათვის არ დაურიგებიათ და ხარბინის დუქნებში იყიდება უბანდეროლოდაო. შემწირველი შუამდგომლობს, რომ ეს საქმე განმარტებულ იქმნას.

მინსკი, 26 მაისი. თუჯის, მექანიკურ და მაშინის ამშენებელ ქარხნებში გაფიცვა ცხრა საათის სამუშაო დღის დაწესებით დასრულდა.

პიატიგორსკი, 26 მაისი. 25 მაისს მსახურად ნამყოფმა ინგუშმა ექიმი გრაბოვსკი მოჰკლა. მკვლელი დაიჭირეს.

ქრისტიანია, 26 მაისი. მეფისადმი დაწერილ ადრესში ნათქვამია: როცა მეფემ პასუხის მგებელ კაბინეტის შედგენა აკრძალა, ნორვეგიის მეფის მოქმედება შესწყდა და კონსტიტუციონალურ მონარქიის საფუძველი დაინგრა. მეფის დადგენილებამ შვეცია-ნორვეგიის უნიის მოსპობა გამოიწვია. ხალხისადმი გამოცემულ პროკლამაციაში გამოცხადებულია, რომ ნორვეგია მშვიდობიანად იცხოვრებს სხვა ერებთან, მეტადრე შვეციის ერთან. სტორტინგი დარწმუნებულია, რომ ხალხი დაიცავს ნორვეგიის დამოუკიდებლობას და მთავრობის ბძანებას ასრულებს; სამხედრო, სასულიერო და სამოქალაქო მოხელეებიც დაემორჩილებიან ახალ მთავრობასაო.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. საღამოთი მეფე ოსკარს აღტაცებული ოვაცია გაუმართეს. ხალხი ათას კაცამდე მუსიკით მიუახლოვდა სასახლეს. მეფე-დედოფალი და პრინცები აივანზე გამოვიდნენ. ეროვნული ჰიმნი შეასრულეს. ხალხი მიესალმა მეფეს, ქალებმა ყვავილები მიართვეს. მეფემ მადლობა გადაუხადა.

ბერლინი, 26 მაისი. ოფიციალური. ჰოტენტოტთა მეთაური კორნელი ვეტაინიდან 14 მაისს დაამარცხა კაპიტან კოპმა. 14 მაისსავე კაპიტან ბეღუმმა დაამარცხა მა-აგასთან 150 ჰერერო, რომელთაც 7 კაცი დაჰკარგეს.

ხარკოვი, 26 მაისი. უცნაური დანაშაული აღმოაჩინეს. ადესიდან მოსულ მატარებელში ნახეს მოკლულ ბიჭის გვამი, კალათაში ჩადებული.

ფელეტონი

ერი და სახელმწიფო

(რ. სპრინგერიდან)

2. როგორც წინა წერილში*) დავინახეთ, ერს არ შეუძლია თავისი ინტერესები, წმინდა ეროვნული ინტერესები პიროვნების ან თავისუფალ, ნებაყოფლობით შემდგარ ასოციაციის ანაბარა მიატოვოს; ერი უნდა წარმოადგენდეს იძულებით კავშირს, ე. ი. ერს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ფუნქციები.

ბევრსა ჰგონია, რომ ერის მისწრაფების მთავარი საგანი ენის დაცვაა, პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, სახალხო განათლების საქმეში და სასამართლოსა და ადმინისტრაციაში. მაგრამ ეს შეხედულება შემცდარია: ენის დაცვა მხოლოდ სიმპტომია ეროვნულ მისწრაფებისა, იგი საშუალებაა და არა მიზანი; ყოველ ერის სურვილია ეროვნულ სახელმწიფოს დაარსება, და სწორედ ამიტომ არის ერის დაკმაყოფილება ენის მხრივ მხოლოდ ერთი ეტაპია ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში; ამით ეროვნული ბრძოლა არ გადაწყდება, რადგან ეროვნული საკითხი ენის საკითხი-კი არ არის, არამედ სახელმწიფო-უფლებრივი საკითხია. იმ სახელმწიფოში, სადაც რამდენიმე ერია თავმოყრილი, არავითარი პროგრესი არ იქნება, თუ ყოველი ერი უფლებრივ-უზრუნველყოფილი არ არის, თუ თითეული მათგანი იძულებულია შებრძოლი რაზმი იყოლიოს საერთო პარლამენტში თავის ეროვნულ ინტერესების დაცვისათვის, თუ ერი არ წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში. დიდად მავნებელია ერისათვის და კიდევ უფრო სახელმწიფოსათვის, როცა ერის ეს მებრძოლი რაზმი მხოლოდ პოლიტიკური პარტიაა და იბრძვის სახელმწიფო უფლებისათვის; სანამ ეს სახელმწიფო უფლება შექმნილი არ იქნება, ბოლო არ მოეღება ეროვნულ ბრძოლას და სანამ ეს ეროვნული ბრძოლა არ შესწყდება, შეუძლებელია პარტიებმა სოციალ-ეკონომიურ საგნებს შესწირონ მთელი თავიანთი ძალ-ღონე, შეუძლებელია სახელმწიფოს დაწინაურება ამ მხრივ.

ყოველი ერი, თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, გამსჭვალულია ერთის ძლიერის სურვილით—შექმნას ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული დაწესებულება, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მის თავისუფალ შეუფერხებელ განვითარებას.

ყოველ ერისათვის არსებობს ორი მთავარი ინტერესი: ერთია მთლიანობის ინტერესი, მეორე—თავისუფლებისა. ერის ყველა წევრები ერთად უნდა იყვნენ, საერთო ხარჯსა და შრომას უნდა ეწეოდნენ კულტურულ დაწინაურებისათვის, ყველანი უნდა სარგებლობდნენ ამ კულტურით. დიდი ერი ადვილად იტანს რომელიმე ნაწილის ჩამოშორებას და დაკარგვას, პატარა ერი კი იძულებულია ყოველი ღონისძიება იხმაროს არც ერთი თავისი წევრი არ დაჰკარგოს და ყველას მიაღებინოს მონაწილეობა ეროვნულ მოვალეობის მოხდასა და ეროვნულ უფლების მოხმარებაში. თავისუფლების ინტერესი მოითხოვს, რომ ყოველი ერი თავისუფალი იყოს გარეშე, უცხოს ბატონობისაგან. როგორც მთლიანობის, ისე თავისუფლების ინტერესი, რასაკვირველია, ყოვლად ბუნებრივი და კანონიერია, ეს მხოლოდ ვერ გაუგია დღევანდელ „ნაციონალისტს“, რომელიც მოწადინებულია, რომ სხვა ერზე გაბატონდეს, სხვა ერი გადააგვაროს.

როგორც ვთქვით, ერს საერთო, კოლექტიური ინტერესები აქვს და ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ ყოველ ერს სახელმწიფო პრეროგატივები ჰქონდეს. მაგრამ რადგან ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი სცხოვრობს, ამიტომ აუცილებელია კონფლიქტი სახელმწიფოსა და ერს შორის, სანამ მრავალ ერიანი სახელმწიფო ეროვნულ სახელმწიფოებად არ დანაწილდება ან სახელმწიფოსა და ერის კომპეტენციები გამოყოფილი არ იქნებიან ერთი მეორისაგან. მეორე გზას დაადგა სახელმწიფო სარწმუნოების საქმეში. რასაკვირველია, დიდი, არსებითი განსხვავებაა ერსა და სარწმუნოებას შორის, შინაარსი ეროვნულ ცხოვრებისა სრულიად არა ჰგავს სარწმუნოებრივ ცხოვრების შინაარსს. მაგრამ ერთ რამეში კი ემსგავსებიან ერთმანეთს: სარწმუნოებასაც და ერსაც აქვს მისწრაფება თავიანთ სფეროდან გამოვიდნენ და ყველა სახელმწიფო საქმეები დაიქვემდებარონ; სახელმწიფომ გამოჰყო თავისი კომპეტენცია და ეკლესიას მისი დაუტოვა, სახელმწიფომ საზღვარი დაუდო თავისა და ეკლესიის მისწრაფებათ, კეისრისა კეისარს აკუთვნა და ღვთისა ღმერთს. აი მხოლოდ ეს ფორმალური მხარე კომპეტენციების გაყოფისა სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის შეიძლება გახდეს ხელმძღვანელ ანალოგიად ეროვნულ საკითხშიაც.

მაგრამ რას ნიშნავს სახელმწიფოსა და ერის კომპეტენციების გაყოფა, თუ არ იმას, რომ ერი, როგორც ერთი მთელი, შედის სახელმწიფოში, რომ ერი იძენს ზოგ სახელმწიფო ფუნქციას? ამ შემთხვევაში ერი ორგანიული ნაწილი, წევრია სახელმწიფოსი.

მაგრამ რა პრინციპის მიხედვით უნდა გაიყოს ერისა და სახელმწიფოს კომპეტენციების ერთი მეორისაგან გამოყოფა, როგორ უნდა მოხდეს დაშორება ერთი მეორისაგან ეროვნულ და სახელმწიფო ფუნქციებისა?

ბევრი იმ აზრის არის, რომ ერის გამოყოფა მხოლოდ ტერიტორიალურად შეიძლებაო: ის ერი, რომელსაც ვერ მოუხერხებია ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება, თავის ტერიტორიაზე სრულიად დამოუკიდებელი უნდა იქნას და უნდა შეეძლოს ისე მოაწყოს თავისი ეროვნული საქმეები, როგორც ეს მას სურს. ამასთან ეს ერი მონაწილეობას იღებს საერთო, წმინდა სახელმწიფო საქმეების მოვლა-პატრონობაშიაც. ამ გვარად მრავალ ერიან სახელმწიფოს წევრს ინტერესების ორი სფერა აქვს—სახელმწიფო და ეროვნული და ამ ინტერესების გამყოფი, მათ შორის საზღვრის დამდები არის ტერიტორია, ისტორიულად შექმნილი.

ეგრე კი არის? მარტო ტერიტორია შეიძლება იყოს ერისა და სახელმწიფოს კომპეტენციების გამყოფი პრინციპი, თუ შესაძლებელია სხვა პრინციპითაც ვიხელმძღვანელოთ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს?

ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხის კაცემამდე აღსანიშნავია ერთი უტყუარი ფაქტი: ორმოცდაათ წელზე მეტია, რომ ეს ტერიტორიალური პრინციპი ავსტრიაში: შეიქნა წყარო განუწყვეტელ და გადაუწყვეტელ კონფლიქტებისა. მარტო ეს ფაქტი უნდა კმაროდეს იმის დასამტკიცებლად, რომ სისტემა ისტორიულ ტერიტორიებისა ვერ გადასწყვეტს ეროვნულ საკითხს: ისტორიული ტერიტორია თუ იქნება ჩვენი ხელმძღვანელი, ერის ერთიანობის, მთლიანობის უარმყოფელი გამოვა, რადგან ტერიტორიის გარეთ მცხოვრები წევრნი ერისა მოკვეთილნი, სხვა ერების მსხვერპლად განწირულნი იქნებიან. ტერიტორიალური პრინციპი ვერ გადასწყვეტს ეროვნულ საკითხს, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ მშვიდობიანობას უნდა მოასწავებდეს, და ეს პრინციპი კი ეროვნულ ბრძოლას დაუსრულებლად ჰქმნის: ისტორიულ ტერიტორიაზე ყოველთვის ცხოვრობს უმცირესობა, სხვა ერის ან ერების წარმომადგენელი და თუ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ნაწილი ერისა სხვა ერებს უნდა შეეწიროს მსხვერპლად, ტერიტორიის შიგნით მცხოვრები უმცირესობა მსხვერპლად რჩება უმრავლესობას.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა არ არის სხვის უმცირესობაზე გაბატონება და თავის უმცირესობის მსხვერპლად გაწირვა. ტერიტორიალურ სისტემის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ერთ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ერი ცხოვრობს ან სხვა ერთა წარმომადგენელნი სულ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს.

მაგრამ რადგან ასეთი პირობა (ერთი ტერიტორია—ერთი ერი) თითქმის რომ შეუძლებელია, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული ტერიტორიალიზმი განუხორციელებელი მიზანია. ეს გარემოებაა, რომ ძალას ატანს მკვლევარს იკითხოს, თუ რამდენად სამართლიანი და ჭეშმარიტია საზოგადოთ ტერიტორიალური სისტემა, რამდენად აუცილებელია ერისა და ტერიტორიის ერთი მეორესთან დაკავშირება.

ეროვნებას არსებითად, თავის შინაგან ბუნებით არა აქვს დამოკიდებულება მიწასთან, ტერიტორიასთან. ეროვნებას არ ჰკარგავს ადამიანი იმით, რომ ტერიტორიას სტოვებს და სხვაგან მიდის; არ იძენს ეროვნებას, როცა ტერიტორიაზე შემოდის და იქ სცხოვრობს. საღი ეროვნული გრძნობა, თვით შეგნება წინააღმდეგი უნდა იყოს ეროვნებისა და მიწის ასეთ აუცილებელ დაკავშირებაზე; ერი დღეს თანამედროვე ადამიანთა კულტურული საზოგადოებაა, რომელიც აღარ არის წინანდებურად მიკრული მიწასთან. მართალია, ყველასათვის ძვირფასია სამშობლო, მაგრამ მთელი ქვეყანა თუ არა, მთელი სახელმწიფო მაინც კარდაა უნდა იყოს ერის ყოველ წარმომადგენლისათვის. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს მიწის ყმობისაგან; მით უფრო, რომ დღეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანია კავშირი შესაფერ ეკონომიურ კლასის წარმომადგენლებთან, თანამემამულეებთან და თანამორწმუნეებთან; სოციალური დამოკიდებულება ტერიტორიალურ დამოკიდებულების ადგილს იჭერს: ადამიანი უფრო ახლოა ადამიანთან, ვიდრე მიწასთან.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ აქ საზოგადოთ უარყოფილია ტერიტორიის მნიშვნელობა ეროვნებისათვის: თუ ერისათვის აუცილებელია სახელმწიფო პრეროგატივები და თუ სახელმწიფო და მისი მართვა-გამგეობა მტკიცედ ფესვგადგმულია ტერიტორიაზე, შეუძლებელია ტერიტორიის მნიშვნელობის უარყოფა. აქ უარყოფილია მხოლოდ ისტორიული ტერიტორია და სანამ ამ ისტორიულ ტერიტორიტორიას არ მოანებებენ თავს, სანამ ისტორიულ ტერიტორიის მთლიანობას არ უარყოფენ და წმინდა ეროვნულ მთლიანობას არ ჩასჭიდებენ ხელს, ეროვნულ საკითხს არა ეშველება რა. სწორედ ამ გზას ადგანან წმინდა ეროვნულ ავტონომიის მომხრენი, ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ ერი არის ტერიტორიისაგან დამოუკიდებელი კავშირი პიროვნებათა, რომელთაც აერთებს გრძნობა, აზრი და ამ ორივეს გამომთქმელი სალაპარაკო ენა.

რამდენად უფრო მეცნიერული და სამართლიანია ეს შეხედულება, ამას შემდეგ წერილებში დავინახავთ.

ვ. ლ.

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2823

კოსტრომა, 24 მაისი. გაფიცვა გრძელდება; მიიღეს ზომები არეულობათა წინააღმდეგ.

ბერდიჩევი, 26 მაისი. დღეს, დილის 11 საათზე, ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერმა ღელეკომ შური იძია სამსახურიდან გაგდებისათვის და რევოლვერით მოჰკლა უფროსი როტმისტრი მარკოვსკი და ჟანდარმი ცუკანოვი და სასიკვდილოდ დასჭრა ვახმისტრი პალეი. მკვლელს უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ მისი ჭრილობა არაა საშიში.

ბრაილავი, 26 მაისი. ამ ერთის თვის წინად სხვა და სხვა სოფლებში მოძრაობა დაიწყო გლეხებში: მათ ძალით გააგდეს ეკონომიებში მოსამსახურეები, მოითხოვეს დღეში მანეთი მინდორში მუშაობისათვის, ზოგან-კი მემამულის მიწები მოხნეს. დღემდე ადმინისტრაცია აქრობდა მოძრაობას, დღეს-კი მან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ჯარის მოყვანა გახდა საჭირო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

უცხოეთის პრესის აზრი რუსის ფლოტის განადგურებაზე. უცხოეთის პრესსა ერთხმად, გადაჭრით ამბობს, ჯერ ასე არავის ფლოტი არ დამარცხებულა, როგორც რუსის ფლოტი დამარცხდა კორეის სრუტეში და არც არავის ფლოტს გაუმარჯვნია ისე, როგორც იაპონიის ფლოტს გაუმარჯვნიაო.

ინგლისური გაზ. „ტაიმს"-ი სწერს: „ამ ას წელიწადში, მას აქეთ, რაც ინგლისელმა ადმირალმა ნელსონმა ევროპის ბედი გადაწყვიტა ტრაფალგართან, ზღვაზე აღარ მომხდარა ისეთი ბრძოლა, როგორიც კუნძულ ცუსიმასთან მოხდა და არავის არ გაუმარჯვნია ისე, როგორც იაპონიის ფლოტმა ეხლა გაიმარჯვა. ამ გამარჯვების მნიშვნელობა ორის სიტყვით გამოითქმის: რუსეთი აღარ არსებობს, როგორც საზღვაო სახელმწიფო და რაც უნდა ძლიერ ეცადოს, ვეღარ დაიბრუნებს იმ ადგილს, რომელიც სამის დღის წინ ეჭირა სახელმწიფოებში. ეხლა მაინც უნდა მიჰხვდეს რუსეთის მთავრობა, რომ საბოლოოდ დამარცხდა და გამარჯვების იმედი სამუდამოდ მოესპო. თუ გაჰკირვეულდება და ომს განაგრძობს, რუსეთი მხოლოდ წააგებს, მოგებით-კი ვერას მოიგებსო.

გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი ამბობს: რუსეთმა უკანასკნელი ფლოტი დაჰკარგა. ეხლა ძნელი გამოსაცნობია, რა შედეგი მოჰყვება ამ საშინელ დამარცხებას, ის-კი ცხადია, რომ რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეუძლიან. შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში უცილობლად გაბატონდა იაპონია.

ვენური გაზ. „ნ. ფრ. პრესე" სწერს: რუსეთის იმედები მთლად გაქარწყლდა: იმისი მრისხანე ფლოტი, რამდენსამე ას მილიონად ღირებული, ეხლა კორეის სრუტის ძირზე დევს, ადმირალები-კი, იაპონიის გამარჯვების ნიშნად, ტყვედ არიან წაყვანილნი. ეს საშინელი დამარცხება დიდ ზნეობრივ გავლენას იქონიებს მთელს ქვეყნიერობაზე: ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ იაპონელები უცილობლად მაღლა დგანან რუსებზე. ეს ზნეობრივი გავლენა უფრო ბოლოს მოუღებს რუსეთის სახელს, ვიდრე თითონ დამარცხება. რუსეთი ძლიერ ამაყობდა, ძლიერ სწამდა თავისი ძალა და შორეულ აღმოსავლეთში ბატონობას არაფრის გულისათვის არ უზიარებდა იაპონიას. ეხლა ეს სიამაყე და უსაზღვრო თავ-მოყვარეობა საბოლოოდ დაუთრგუნა იაპონიამ. ადმ. ტოგოს გამარჯვებამ ერთის დაკვრით რუსეთს მთლად მოუსპო იმედი გამარჯვებისა და ამავე დროს ომიც გაათავა. კიდევ იაპონელების ზნეობრივმა და გონებრივმა უპირატესობამ გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რუსეთი სრულიად უიმედოდ განაგრძობს ომსა. ცხადია, რუსეთს არ შეუძლიან იაპონიასთან ომი და უსათუოდ უნდა შეურიგდეს.

„ცაიტ"-ი სწერს: განათლებულმა და თავისუფალმა იაპონიამ საბოლოოდ დაამარცხა უვიცი და მონური რუსეთიო. („ნ. ჟ.").

ფრანგული გაზ. „ტან"-ი ამბობს მოწინავე წერილში: ფლოტის დაღუპვის შემდეგ რუსეთს ზღვაზე ბატონობის დაბრუნება აღარ შეუძლიან. უფლოტოდ-კი, პორტ-არტურის დაჭერაც შეუძლებელია. რაც უნდა ქნას ლინევიჩმა, პორტ-არტური იაპონელების ხელში დარჩება, იმისი ბედი სამუდამოდაა გადაწყვეტილი. ადმ. როჟესტვენსკის დამარცხების შემდეგ რუსეთი ამაოდ-ღა განაგძობს ომსა. საცა სამართალია, ჯერ მუკდენის შემდეგვე უნდა შეჰრიგებოდა იაპონიას. მაგრამ რუსეთმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი და როჟესტვენსკის ესკადრა გაჰგზავნა. ეხლა საფრანგეთს ერთად-ერთ სურვილის გამოთქმა შეუძლიან: ჩვენის მოკავშირის რუსეთის დამარცხებას ბოლო უნდა მოეღოს და შერიგება მოხდეს, მით უმეტეს, რომ შერიგებას საფრანგეთის ზნეობრივი და ქონებრივი ინტერესიც მოითხოვს.

მელინის გაზეთი „რეპუბლიკ ფრანსეზ"-ი ურჩევს რუსეთს, შენი უძლურება აღიარე და იაპონიას შეურიგდიო.

ჟორესის გაზეთი „ჰუმანიტე" სწერს: საფრანგეთსაც ძლიერ გაუცრუვა იმედი მოკავშირე რუსეთმა: მეტად უძლური გამოდგა. დროა რუსეთი შეურიგდეს იაპონიას, თორემ ომი მთლად დაჰღუპავს.

რუსეთის გულწრფელი მომხრე „ეკო დე პარი" ამბობს: ცუსიმასთან ფლოტის დამარცხებამ ჩვენს მეგობარ რუსებს მთლად მოუსპო ყველა იმედიო.

„გოლუა" იმ აზრისაა, რომ ადმ. ტოგომ მეტად საოცრად გაიმარჯვა; ასეთი დიდი გამარჯვება ძლიერ იშვიათია საზღვაო ისტორიაშიო.

„ჟურნალ"-ი ამბობს: რუსეთმა საბოლოოდ წააგო ომიო.

იტალიური გაზ. „პატრი" სწერს: იაპონია ეხლა ზღვაზე და ხმელეთზე ბატონობს და ნამდვილი სიგიჟე იქნება, რუსეთმა რომ ამას იქითაც ომი განაგრძოს.

„ავანტი"-ს სწამს, რომ რუსის ფლოტის განადგურებას შედეგად ახალი, თავისუფალი, ადამიანური ცხოვრება მოჰყვება რუსეთში. („ნ. ჟ.").

ბელგიური გაზ. ინდეპანდანს ბელჟ."-ის ადმ. როჟესტვენსკის დამარცხება რუსეთის საბოლოო დამარცხებად მიაჩნია.

თითქმის ყველა გაზეთი თხოულობს, რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ მოსპოს ომი და ზავი ჩამოაგდოს იაპონიასთან, რადგან მუკდენისა და ცუსიმას შემდეგ ომა-კი არა, უბრალო, უაზრო სისხლის ღვრა იქნებაო. („ს.").

ახალი ამბავი

✦ **ნახიჩევნისა და ერევნის ულეტა-ხოცვამ** ტფილისის მცხოვრებთაც აუშალა ნერვები. ხალხი ძალზეა შეშინებული, საკმაოა სულ მცირე მიზეზი, რომ რამე მოხდეს. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ქალაქის ზოგიერთ უბნებში მაღაზიისა და დუქნების პატრონებმა დაადგინეს, დააკლებინონ ქირები სახლის პატრონებს. ამასთან ისიც გადასწყვიტეს, რომ თუ არ დაუკლეს და სასამართლოს ბოქაული მიიყვანა ვინმემ, ყველამ დაკეტოს დუქნები. გუშინ იარმუკაზე ერთმა სახლის პატრონმა სასამართლოს ბოქაული მიიყვანა მედუქნეებთან ქირის ასაღებად. ამის დანახვაზე მეზობელმა მედუქნეებმა თავიანთი დუქნები დაკეტეს. მოშორებით მდგომმა ხალხმა იფიქრა, ალბად, რაღაც ამბავიაო, და გაჰქანდა ზევით ერევნის მოედნისაკენ. პუშკინის ქუჩაზე ხელად დაიკეტა დუქნები და მაღაზიები და იქ მყოფი ხალხიც გაიქცა. ერევნის მოედნიდან ტალღა შუა ბაზარს მოედო, იქიდან თათრის მოედანს. ზოგგან ხალხი ისე გარბოდა, გეგონებოდათ ლეკის ჯარი მისდევსო. უბედურება, ყველას სასიამოვნოთ, არა მომხდარა-რა. მაგრამ ხალხი მაინც დაშინებულია.

✦ „რუს. სლ."-ს **ბაქოდან დეპეშით ატყობინებენ**: „19 მაისს პოლიციამ აღმოაჩინა მთელი ფაბრიკა ყუმბარებისა. ტელეფონის ქუჩაზე, მიხეილის სასწავლებლის პირდაპირ, შუშის საწყობია. უზარმაზარ ეზოს ბოლოში ერთ სართულიანი შენობაა. როცა გასინჯეს, შენობაში მთელი სახელოსნო ნახეს. პოლიციის მისვლისას ცხარე მუშაობა იყო. იპოვნეს ორასამდე ჩამოსხმული ყუმბარა. როგორც ეტყობა, ამ ყუმბარებს სხვა ადგილას სტენავდნენ. შეიპყრეს სამი ჩამომსხმელი. ყუმბარები ჟანდარმთა გამგეობაში გაჰგზავნეს.

✦ როგორც „ჩ. ვ." გადმოგვცემს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია 20 მაისს ბათუმში უნდა განეხილა შემდეგ **პოლიტიკურ დამნაშავეთა** საქმე. შავარდნაძისა, ივანიძისა, ნინუასი, ჩხიკვიშვილისა, ვაჩეიშვილისა, ჯიბუთისა, რურუასი, სიმონიშვილის და კუპრიაშვილისა. ამათ ჰბრალდებათ 2 თებერვალს 1904 წელს მთავრობის საწინააღმდეგოდ მანიფესტაციის გამართვა და წითელი დროშის აფრიალება, რომელზედაც ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა"!ო.

✦ როგორც ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს ცნობებიდანა სჩანს, წელს ტფილისის გუბერნიიდან **სამხედრო სამსახურში გაიწვევენ** სულ 8840 კაცს. ამ 8840 კაცში საქართველოს მკვიდრი 7960 და გადმოსახლებული 880 კაცია.

✦ გუშინ, 27 მაისს, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარში გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი **პეტრე უმიკაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის პატივის მცემელნი.

✦ გზათა სამინისტრომ ნება დართო, რომ ის ფქვილი, რომელიც დანიშნულია **სომეხ-თათრების შეტაკების დროს** დაზარალებულთათვის, რკინის გზით მუქთად გადაიტანონ.

✦ ქალაქის მოურავის ამხანაგს(?) ლალაიანცმა, რომელსაც ქუჩების განათების საქმე აქვს აღებული, სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, საჩქაროდ შუამდგომლობა აღძრას, რომ ლამპას ამნთებ მუშებს (ერთი ორის გარდა ყველანი, 70-მდე კაცი, სომხები არიან) **იარაღი დაურიგდეთ**, რადგან მუშებს ეშინიანთ ერევნისთანა ამბები აქაც არ მოხდეს და უარს აცხადებენ მუშაობაზედაო.

✦ თავის დროზე უკვე ვწერდით, რომ ამიერ-კავკასიაში **საექიმო ნაწილისთვის** მთავრობამ გადასდო 400,000 მან. აქამდე დამტკიცებული არ იყო წესები, თუ როგორ უნდა დახარჯულიყო ფული სამკურნალოების შესანახად. ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკმა უკვე დაამტკიცა წესი სამკურნალოების დაარსებისა და ხსენებულ ფულის ხარჯვისა.

✦ **ქუთაისის გუბერნატორად**, როგორც „ჩერ. ვესტ." გადმოგვცემს, ინიშნება ქუთაისისავე ვიცე-გუბერნატორი კალაჩევი.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, **ქუთაისის პოლიცმეისტერი კლიმენტიევი** დაინიშნა გუბერნატორის კანცელარიის გამგედ. პოლიცმეისტრად დაინიშნა ბოქაული ტატიშვილი.

✦ **სოხუმის ქალაქის მოურავად** ასახელებენ ადგილობრივ ვაჭარს გაგრიჩიძეს, ნაფ. ვექილს ა. ნ. ზახაროვს და ა. ვ. დალს.

✦ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებელი ბ-ნი **თაქთაქიშვილი დანიშნეს** ბაქოს საკომერციო სასწავლებლის ინსპექტორად.

✦ როგორც ნორაშენიდან გვატყობინებენ, 25 მაისიდან **ჯულფის გზაზე ხიდები ძალზე დაზიანდა**, ასე რომ ამ ხიდების შეკეთებას ათი დღე მოუნდება. ეს გარემოება ძრიელ გაჭირვებაში ჩააგდებს ნახჩევანის მცხოვრებთ, რადგან აუარებელი სურსათია გადასაზიდი.

✦ არქიტექტორს კლდიაშვილს შეუდგენია პროექტი **ახალ ქართულ თეატრისა** ძველის ნაცვლად თავად თავად-აზნაურთა შენობაში. ხარჯი 47,000 მან. გამოანგარიშებული.

✦ ტფილისის გაზეთები სწერდნენ, რომ მომავალ სეზონისთვის **სახაზინო თეატრი** ისევ არტისტ დონსკოის მიეცაო. ეხლა დირექტორი თეატრისა ბ-ნი აკიმოვი აცხადებს, რომ ეს ამბავი ტყუილია და თეატრი ჯერ არავის არ აუღიაო.

✦ **სად. ხაშური.** 26 მაისს, დილის 5 საათზედ, ერთსა და იმავე დროს მატარებლები გავიდნენ ხაშურიდან და ვარვარინოდან. საბედნიეროდ, მატარებლები მე-175 ვერსზე დარაჯმა შეაჩერა და გადაარჩინა ერთმანეთის დაჯახებას.

✦ **ქ. თელავი.** 22 მაისს ეგრედ წოდებულ აჯ-მამუდოვის თეატრში გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგინეს ვოდ. „დათვი" და „ჯოჯოხეთში" ბ-ნ სიტყვისა, სცენები, რომელიც დაიბეჭდა „ცნ. ფურც. ფელეტონში 9 იანვარს 1903 წ. პირველი პიესა რომ არ ეთამაშათ, ისა სჯობდა ისე წარმოედგინათ. „ჯოჯოხეთმა" უფრო კარგად ჩაიარა, მაგრამ ამის დადგმა უფრო კარგად შეეძლოთ. „ჯოჯოხეთში" ძლიერ მოეწონა საზოგადოებას და ბევრიც აცინეს. ამ საღამოს სულ მდაბიო, მუშა ხალხი დაესწრო.

✦ როგორც ანგარიშიდან სჩანს, ტფ. **ქალაქის ხორცის დუქნებს** დაარსებიდან, ამ ორი წლის განმავლობაში, 53,415 მან. 56 კაპ. უზარალნიათ. ამ ციფრებს განმარტება აღარ სჭირია.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა ტფ. მაზრის უფროსს, რომ **ხოლერის საწინააღმდეგო** ღონისძიებათა მისაღებად მაზრაში გაიგზავნა ექიმი მუხარინსკი და ხარკოვის უნივერსიტეტის მე-IV კურსის სტუდენტი ა. ავეტისოვიო.

✦ წელს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია გაათავა 31 ყმაწვილმა, ამათში ქართველი 16-ია. აი მათი გვარებიც: აკოფაშვილი სტეფანე, ბეთანოვი სტეფანე, ბოჭორიშვილი კირილე, გამრეკელი ვასილ, არდიშვილები ალექსი და გერასიმე, ჭეიშვილი იოსებ, ხუნწოვი ნიკოლოზ, ჩხიკვიშვილი შალვა, კიზირია კოკი, კომპანიონი იოსებ, კეშელავა ლადო, თუმანიშვილი ნიკოლოზ, ჟორდანია გიორგი, რეკვავა და კაკაბაძე სერგია.

✦ წელს ნიკიტის საბაღოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში თავისუფალ მსმენელთა და მოვარჯიშეთა შორის კურსი გაათავა ხუთმა ქართველმა: ი. გარაყანიძემ, გ. მთვარელიშვილმა, ა. ჩხაიძემ, ბ. ჯორჯაძემ და გ. რომანიშვილმა. ორი მათგანი ი. გარაყანიძემ და გ. მთვარელიშვილი საზღვარ-გარეთ აპირებენ გამგზავრებას სწავლის განსაგრძობად.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" მე-5 ნომერი.

✦ სად. ადიკენტი. 25 მაისს ლიანდაგიდან გადავარდა მატარებელი № 408. დაიმტვრა ერთი ვაგონი.

✦ როგორც გვატყობინებენ, 26 მაისს მოხალოვში პანაშვიდი გადაუხდიათ ნახიჩევანში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

✦ ბოტანიკის ბაღს ზემოდ, ოხერთ ხევში, 26 მაისს ნახეს გვამი ვიღაც უცნობ კაცისა, რომელიც შეხედულობით სპარსელ სომეხსა ჰგავს. მოკლულს ყელში თოკი აქვს წაჭერილი. როგორც ეტყობა, თოკით დაუხრჩვიათ, შემდეგ გადაუთრევიათ და ხევში გადაუგდიათ. ვინაობა მოკლულისა ან მიზეზი არ იციან.

✦ ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში წელს სწავლა დაასრულა 47 მოსწავლემ. ორმაც ექსტერნად დაიჭირა ეგზამენი. ქართველთა გვარები: თამარ გოძიაშვილი, ელენე ჯანდიერი, ანნა ელიკაშვილი, ალექსანდრა თარხან-მოურავი, ეფემია წილოსანი (ვერცხლის მედლით) და სალომე ყარანგოზიშვილი.

✦ შაბათს, 21 მაისს, ტფილისში მცხოვრებ მიხეილ ქინქარაძეს თავისი შინაურები, ცოლი და ბავშვები, გაუსტუმრებია ფურგუნით სოფელს პატარძეულში. პატარძეულის გზა იორზე გადის, მაგრამ უხიდობისა გამო მგზავრმა აუცილებლად შიგ წყალში უნდა გაიაროს, რასაც ხშირად უბედურება მოჰყვება ხოლმე. ამ ჟამადაც ქინქარაძის ოჯახს ერთი უბედურება დაჰმართნია, იორზე ფურგუნი გადაბრუნებულა და ყველანი წყალში ჩაცვივნულან. პატარები, ხუთი ბავშვი, ცოცხალ-მკვდარი ძლივს ამოუღიათ შემწრეთ წყლიდან: ერთი ბავშვი განსაკუთრებით ძალიან დაშავებულა და შემდეგ ექიმს ძლივს მოუსულიერებია.

✦ ქალაქის ელექტრო-ტეხნიკოსმა აცნობა ტრამვაის მეთვალყურე კომისიას, რომ ვაგონებს ვატმანებმა არ იციან, როგორ აანთონ ხოლმე ელექტრონის ფარნები და ხშირად ვაგონში მსხდომი ხალხი ბნელაში რჩებიანო. კომისიამ ეს ამბავი შეატყობინა ტრამვაის დირექციას და სთხოვა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

✦ **სად. აქსტაფა.** 23 მაისს, საღამოს 5 საათზედ, მე-413 ვერსზედ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯს ჰუსეინ-ოღლის ხანჯლით მარცხენა ხელი მოაგდებინა მეურმემ, რომელსაც უნდოდა ლიანდაგზე გადაეტარებინა ურემი.

✦ **სად. ბათუმი.** 25 მაისს, დილის 9½ საათზედ, მე-93 ვერსზედ ტორმოზის კონდუქტორი ანტონ ბალაძე გადმოვარდა მატარებლიდან და დაშავდა.

✦ თელავში ყელის ჭირვება გაჩენილა.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ თარაკში ვიღაცებს თოფით მოუკლავთ რაკაბეთის მცხოვრები დათა ურებაძე.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 26 მაისი. კრება ჰქონდათ ქუთაისში მყოფ სტუდენტებს. კრებამ დაადგინა შეუერთდეს პიროგოვის სახელობის ექიმთა კრების რეზოლიუციებს, უარი სთქვას ამ ორგანიზაციაში მონაწილეობაზე, რომლის მოწყობასაც მთავრობის სასანიტარო კომისიები სცდილობენ, და აცნობოს ქალაქის თვით-მმართველობას, რომ უსასყიდლოდ იმსახურებენ სასანიტარო მზრუნველებად და სანიტარებად.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ მამულების ცეცხლისაგან დამზღვევ ქუთათურ საზოგადოების წევრთა კრება 22 მაისსაც არ მოხდა, რადგან გამგეობისადმი წარმოდგენილი ვექილობები, რომელთაც გერბის მარკები არ ეკრა, უკანონოდ სცნეს. მარკები კი არც ერთს ვექილობას არ ეკრა არამც თუ ეხლა, საზოგადოების მთელი ათი წლის არსებობის დროსაც. კრების წინა დღემდის გამგეობა არავისაგან არ თხოულობდა მარკებს, მხოლოდ წინა დღით გაახსენდათ. რაღაც მიზეზის გამო, უმარკოდ წარმოდგენილი ვექილობები ყველა უკანონოდ უნდა ჩაითვალოს. გამგეობის ასეთი საქციელი მეტად გაუგებარია, თუმცა ზოგიერთები სულ ადვილად ხსნიან ასეთ საქციელს და მიზეზად გამგეობის ერთს წევრს ასახელებენ, რომელსაც თურმე ძლიერ ესაჭიროებოდა მოწინააღმდეგე კანდიდატის მომხრეთაგან წარმოდგენილ ვექილობების გაუქმება. ვინ იცის, იქმნება, მართლა ამ მიზეზმა გაახსენა გამგეობას 10 წლის დავიწყებული კანონი. საზოგადო კრება გადაიდო იმ დრომდის, სანამ გამგეობა არ მოაწესრიგებს უმარკოდ წარმოდგენილ ვექილობების საქმეს.

✦ 23 მაისს, ღამის 12 საათზე, როდესაც ქალაქის თეატრში ძმათა ადელგეიმების რუსული წარმოდგენა გათავდა, ხარჯის ამკრეფ ინსპექტორი ილია მანუჩარის-ძე ჩიქოვანი ქალაქის ბაღის ქვაფენილზე მიდიოდა ექიმ ტერტეროვთან ერთად. იმის წინაც და უკანაც დიდი საზოგადოება მიდიოდა ქვაფენილზე. წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკს რომ ჩაშორდნენ, რაღაც შემთხვევით ამ ორ კაცს ჩამოშორდა როგორც წინ მიმავალი, ისე უკან დარჩენილი საზოგადოება. ამ დროს გავარდა რევოლვერი რევოლვერის ხმასთან ერთად მოისმა გულშემზარავ ყვირილი, „ვაი, მომკლესო". უცბად უკან მოვხედე (ათიოდე ნაბიჯით მივდიოდი წინ); ვიფიქრე, დარაჯებმა დასჭრეს ვინმე თოფითმეთქი. დავინახე, რომ ბულვარის ხეივანში კვამლი კიდევ იდგა; სჩანდა, იქიდან ისროლა რევოლვერის ბოროტ-განმზრახველმა. ილია ჩიქოვანს-კი მუცელზე მკლავები მიეფარებინა და ბარბაცით უკან-უკან იხეოდა. დაჭრილის გარშემო დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, დამჭრელი კი უგზოუკვლოდ მიიმალა, მდევარი არავინ გამოუჩნდა. დაჭრილი ჩასვეს ეტლში და თოფურიასეულ საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ მას შეუხვიეს ჭრილობა რომელიც მეტად მძიმე აღმოჩნდა. ტყვია მოხვედრილი აქვს ზურგში მარცხენა მხრიდან და გამოსულია წინ, ჟილეტის საათის ჯიბის მახლობლად. ტყვია ტანისამოსში გაჩერებულიყო. როგორც ექიმები ამბობენ, ავადმყოფის მორჩენა ძლიერ საეჭვოა. მკვლელობის განზრახვის მიზეზი არ იციან.

✦ ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე ტფილისს გაემგზავრა ქალაქის საქმეების გამო.

✦ ქალაქის ვექილმა ი. თ. ბაქრაძემ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, სამსახურიდან დამითხოვეთ ამ წლის 1 ივნისიდანო. განთავისუფლებულ ადგილის მსურველი ძლიერ ბევრი აღმოჩნდა როგორც ნაფიცი ვექილები, ისე მათი თანაშემწენი.

✦ 28 მაისს, კ. მაღარაძის გამგეობით მომღერალი ბ-ნი ფოცხვერაშვილი საზოგადოების თხოვნით ხელ-მეორედ გამართავს კონცერტს. ხორო დიდ სამზადისშია; მოიწვევს ახალი ხმები, ამზადებენ სულ ახალ-ახალ სიმღერებს. რეპეტიციებს, რომელიც საზოგადოდ ქალაქის საბჭოს დარბაზში ხდება, დიდ-ძალი საზოგადოება ესწრება.

✦ კვირის წარმოდგენას მეტად სიმპატიური აზრი ჰქონდა და საზოგადოებაც დიდის თანაგრძნობით მიეგება. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ქუთაისის სხვა და სხვა დარგის მოღვაწენი შეადგენდნენ, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან ეს წარმოდგენა „ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გაიმართა. წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცებულია სამინისტროს მიერ 1903 წელს ივნისის 26-ს. მოქმედებას კი საზოგადოება შესდგომია 1904 წ. ივნისის თვიდან. საზოგადოებაში ჩაწერილა უკვე 90 წევრი. საზოგადოების აზრია მისცეს თავის წევრთ სესხი და დაუბრუნებელი შემწეობა მათ და მათს ოჯახობასაც; მოეხმაროს და გაურჩიოს საქმე იმ წევრთ, რომელთაც გარეშე მიზეზებისა გამო სამუშაო დაუკარგავთ; აღმოუჩინოს აღზრდისა და სწავლის საშვალება მიცვალებულ წევრთა ობლებს; მისწიოს საექიმო შემწეობა წევრთა და იმათს ოჯახობას ავადმყოფობის დროს; უშოვოს საავადმყოფოსა და სამოწყალეში ბინა ავადმყოფსა და დავრდომილ წევრთა და ამათს ოჯახობას; მოუპოვოს თავშესაფარი ღარიბ წევრთა შვილებს და დააბინაოს ისინი სახელოსნო-მოქმედო, სასწავლო და სამრეწველო უწყებებში... ამ სიმპატიურ დაწესებულებას სასარგებლოდ წარმოადგინეს კვირას ქუთაისის ქართული თეატრის მსახიობებმა, რამდენიმე სცენის მოყვარეთა დახმარებით ბ. რამიშვილის ახალი პიესა: „მეზობლები". პიესა, როგორც თანამედროვე ჭანგებზე აგებული, მოეწონა საზოგადოებას, ხოლო თუ როგორც სცენურსა და მხატვრულ ნაწარმოებს დავაფასებთ, მას ბევრს ნაკლს ვუპოვით. პიესას სიცხოველე აკლია, შიგა და შიგ გაჭიანურებული დიალოგებია, აკლია სიცოცხლე, მოქმედება ერთი აზრი არ არის სავსებით გაკვლეული, მთლიანად განმარტებული პიესაში და გატარებული. იწყება იმით, რომ მემამულენი უკმაყოფილებას აცხადებენ დაბალს წოდებაზე, მათრახებით, იძახიან, როცა თავ-პირ დასისხლიანებული მოურავი შემოდით.—ბოლოს იგვიცებს ეს ძაფი პიესისა და მემამულე თავის გარყვნილს მეუღლეს ჰკლავს და თითონაც თავს იკლავს. ისიც სათქმელია, რომ პიესაში რამდენიმე საზოთქრო, უწმაწური სიტყვები ურევია, რაიც ხელოვნურს ნაწარმოებს არ შეეფერება. პიესამ საერთოდ მწუხარედ ჩაიარა. ნიჭიერ მსახიობებს სცენის მოყვარენიც არ ჩამორჩნენ, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ განსაკუთრებით მ. ჩიკვაიძისა და მათიკაშვილის ქალიშვილი. მათიკაშვილის ქალს პირველად ვხედავთ სცენაზე და მით უფრო აღსანიშნავია ბუნებრივი თამაში, ძალ-დაუტანელი მიხვრა-მოხვრა და მოხდენილობა სცენაზე. „მეზობლები"-ს შემდეგ ვოდევილი „სუსტი მხარე" წარმოადგინეს და ბევრი აცინეს საზოგადოება.

თათრებისა და სომხების შეტაკება

გულ-შემზარავი ამბები მოდის ერევნიდან. შეტაკება სომხებსა და თათრებს შორის ერევნისა და ნახიჩევნიდან მთელ გუბერნიას მოედო. არ არის მაზრა, სადაც ცოტად თუ ბევრად სისხლის ღვრა და გადაწვა-გადაბუგვა არ იყოს. მთელი გუბერნია, როგორც დეპეშ-წერილებით იუწყებიან, ბრძოლის ველსა ჰგავს, სოფლები დაქცეული და გადამწვარია, ქალაქები მტრის ალოხრებულსა ჰგავს, აქა-იქ მოკლულების გვამები ჰყრია. ყველაზე მეტად თვით ერევანში გამწვავდა საქმე. იქ შეტაკება 23 მაისიდან დაიწყო. ამ დღეს, როგორც უკვე ვწერდით, სომხების მხრივ მოუკლავთ 8 და დაუჭრიათ 18 კაცი; თათრების მხრივ მოუკლავთ 1 და დაუჭრიათ 2. მეორე დღეს, 24 მაისს, სროლა დილიდანვე ასტყდა. 11 საათზე მოხდა დიდი შეტაკება, რომლის დროსაც სომეხი მოუკლავთ ერთი და დაუჭრიათ აგრეთვე ერთი, თათარი კი ორმოცამდე მოუკლავთ და დაუჭრიათ. ამ დღეს ქუჩაში გავლა ყოვლად შეუძლებელი თურმე იყო. ყოველის მხრიდან სროლისა და ტყვიის ზუზუნის ხმა მოდიოდა. ესროდნენ განურჩევლად ყველას: კაცს, ქალს და ბავშვს. ქალაქიდან გარბოდა ყველა, ვისაც კი გაქცევა შეეძლო. სადგურზე იმოდენა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ტევა აღარ იყო. საქონელიც გარედ, ცას ქვეშ ეყარა. ქალაქში დაკეტილი იყო ყველაფერი: მთავრობის დაწესებულებები, მაღაზიები, კანტორები, დუქნები და სხვა. ისროდნენ თოფებსა და რევოლვერებს ეზოებიდან, ფანჯრებიდან, აივნებიდან, სახლის თავებიდან. ამ დღეს მოუკლავთ ას კაცამდე. სომხებს ამ დღიდან ხელით სასროლი ყუმბარებიც უხმარიათ.

ასევე შფოთიანად ჩაიარა 24 მაისის ღამემ და 25 მაისმა. სროლა მთელ ღამეს არ

შეწყვეტილა. დილის ექვს საათზე ერთის მაჰმადიანის სახლისთვის უსროლიათ ყუმბარა, მოუკლავთ 8 და დაუჭრიათ ორი თათარი. გაზეთ „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ: „25 მაისს სომხებმა ორი ყუმბარი ესროლეს მაჰმადიანის სახლს და დააზიანეს შენობა. შემდეგ სომხები შეცვივდნენ სახლში და მოჰკლეს 10 მაჰმადიანი: კაცი, ქალი და ბავშვი მძიმედ დასჭრეს სამი კაცი. გაძარცვეს სახლი და ყაზახების მოსვლისას გაიფანტნენ. მოჰკლეს საეროზო დარაჯი. რაკი გუბერნატორმა ვერარაფერი მოახერხა, უფროსობა მეციხოვნე ჯარის უფროსს გენერალს შეედოვს გადასცა“. საღამო ხანს მაჰმადიანები თითქმის აღარ გასულან ქუჩაში, მარტო სომხები-ღა დადიოდნენ. ამ დღეს თათარი მოკლული აღმოჩნდა ასამდე, სომეხი-კი სამი იყო. დაჭრილი მრავალია, განსაკუთრებით თათრებს შორის. მიზეზი თათრების მრავლად დაღუპვისა ხელით სასროლი ყუმბარები იყო. ამავე დღეს, 25 მაისს, გამოცხადებულ იქნა საომარ დროის წესები, მაგრამ ხალხის დამშვიდებას არა ეშველა-რა.

25 მაისის ღამემაც სროლით ჩაიარა და ცოტაოდენი სიწყნარე მხოლოდ მეორე დღეს, 26 მაისს, ჩამოვარდა. შეშინებული და დამფრთხალი ხალხი არც ამ დღეს გამოსულა გარედ. ქალაქში ნამდვილი შიშილობა დადგა. არარავითარი სანოვაგე აღარ მოიპოვებოდა; ამიტომ ყველა, ვინც-კი ახერხებდა, გარბოდა ქალაქიდან.

კარგი ამბები არც გუბერნიის სხვა ადგილებშია. დაწვრილებით ამბები მაზრებიდან ჯერ არ მოსულა, მაგრამ, როგორც ისმის, იქაც გაუთავებელი ჟლეტა-ხოცვაა. ერევანს მახლობლად სოფელ კამარლუდან სომხები სულ ერთიან გაქცეულან და ჯულფის შტოს სადგურზე ჩასულან. ულუხანლუში 26 მაისს, დილის 8 საათზე, ხელ-ახლა ატეხილა სროლა სომხებსა და თათრებს შორის. წინა დღეს, 26 მაისს, ულუხანლუდან ერევნისაკენ რამდენიმე ასი შეიარაღებული თათარი წავიდა, მაგრამ გზაზე გავლენიანმა თათრებმა შეაჩერეს და უკან დააბრუნეს.

ჯულფის გზაზე 24 მისიდან მუშაობა შეჩერდა. მუშებმა განაცხადეს, ცუდი ამბები მოდის სოფლებიდან და მუშაობა არ შეგვიძლიანო.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

უარყოფილი ცნობა. „რუს“-ში დაბეჭდილია: „გუშინ ზოგიერთ გაზეთში ცნობა იყო დაბეჭდილი იმის შესახებ, რომ მინისტრთა კომიტეტის საგანგებო სხდომა მოხდა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ საკითხის განსახილველად და კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტტე სასწრაფოთ დაბარებულ იქნა ხელმწიფესთან ცარსკოე სელოში. ეს ხმა სრულებით სიმართლეს მოკლებულია. კომიტეტს არავითარი საგანგებო სხდომა არ გაუმართავს და ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ არ ჰქონია ბაასი. ეს საკითხი ახლაც გამოურკვეველია. მინისტრთა კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ დღემდის არ იცის რა შედეგი მოჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის მუშაობას ამ საკითხის გადასაწყვეტად. იციან მხოლოდ, რომ 18 მაისს მინისტრთა საბჭოს უნდა განეხილა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შედგენილი პროექტი, მაგრამ სხდომა არ მომხდარა. სხდომის გამართვას ამ მოკლე ხანში აპირებენ. უსაფუძვლოა აგრეთვე ხმა ხელმწიფესთან ბ. ვიტტეს გამგზავრების შესახებ.

ბჭობა „საერო კრების შესახებ“. „რ. ს.“-ს დეპეშით აცნობებენ პეტერბურგიდან, რომ ამ მოკლე ხანში იქ მოხდება მინისტრთა საბჭოს და უმაღლეს მოხელეთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ. ხმებია, ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს, მუდმივი დაწესებულება იქნება მომავალი საერო კრება, თუ დროებითი წარმომადგენლობა ხალხის მიერ არჩეულთა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი ზავის ჩამოგდებისა ან ომის განრძობისა და მუდმივ წარმომადგენლობით დაწესებულებაში წევრთა არჩევის შესახებ. მინისტრთა საბჭომ უნდა გამოარკვიოს, როდის მოიწვევს საერო კრებას. დღემდის მინისტრთა საბჭოს თათბირი არ ჰქონია ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

ბულიგინის კომისია. „გაზეთ „სლოვო“-ს შეუტყვია ერთგულად სარწმუნო წყაროებიდან, რომ ბულიგინის კომისიას ხალხის წარმომადგენლებას მოწვევის პროექტი კი არ შეუდგენია, არამედ მხოლოდ მოსამზადებელი სქემა პროექტისა. ეს სქემა უკვე მზად არის და გადაეცემა მინისტრთა საბჭოს, რომელიც 4 ივნისამდე განიხილავს მას. თუ მინისტრთა საბჭომ მოიწონა ეს სქემა, ბულიგინსვე მიანდობენ თვითონ პროექტის შედგენასაც. ამ საბოლოო პროექტის შესადგენად დანიშნული იქნება... საგანგებო კომისია, რომლის წევრებსაც ბულიგინი მოიწვევს.

ცარსკოე სელოში 18 და 19 მაისს თათბირი ჰქონდათ ყველა მინისტრებსა და წარჩინებულ მოხელეებს. („რ. ს.“).

აქვე მოიხდარა **დიდი სამხედრო თათბირი**, რომელსაც დასწრებიან დიდი მთავრები და სხვა წარჩინებული პირები, მათ შორის ს. ი. ვიტტეც. უკანასკნელს პირდაპირ, დაუფარავად დაუხატავს მთელი საშიშროება ეხლანდელ მდგომარეობისა და მოუთხოვია, რომ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ზავის ჩამოგდებას. მიუხედავად ამისა, გადაწყდა ომის განგრძობა, რისთვისაც მიღებულ იქნება ენერგიული ღონისძიებანი. („რ. ვ.“).

დეპეშა პოლონურ ენაზე. 28 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა სატელეგრაფო კანტორებში იღებდნენ პოლონურად დაწერილ დეპეშებს. ეხლა კი, როგორც გაზეთი „რუს“-ი იტყობინება, 18 მაისს ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს შემდეგ შინაარსის ცირკულიარი მისვლია: „შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით პოლონურ ენაზე დაწერილ დეპეშების მიღება მოსპობილი არისო“.

ლევ ტოლსტოის ცნობილი მეგობარი ჩერტკოვი, რომელიც საზღვარ-გარედ სცხოვრობს, მთავრობის ნებართვით მოკლე ვადით რუსეთში ჩამოვიდა. საზღვარზე, რასაკვირველია, მთელი ბარგი გაუჩხრიკეს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და წინადადება მისცეს ტანთ გაეხადა. ჩერტკოვმა განაცხადა—ჩემით ტანს არ გავიხდი, მაგრამ რადგან მიმდევარი ვარ იმ აზრისა, რომ ბოროტებას წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს კაცმა, არ დაგიშლით, თუ გამხდით. გახადეს, გაჩხრიკეს და რამდენიმე ქაღალდი ჩამოართვეს. აგრეთვე მოექცნენ ერთ ინგლისელსაც, რომელიც ჩერტკოვთან ერთად მოდიოდა. („რ. ვ.“).

გაწბილებული გენერალი. რუსეთში ერთი ცნობილი გენერალია, რომელიც „პატრიოტულ“ წიგნაკებს ბეჭდავს და ხალხს ურიგებს, რომ განამტკიცოს ერთგულება ტახტისა და თვით-მპყრობელობისადმი. ეხლა-ხან ეს გენერალი ჩასულა ადესაში და თან ჩაუტანია მთელი ვაგონი თავის წიგნაკებისა, მაგრამ ადგილობრივ მუშებს ზრდილობიანად ვერ მიუღიათ: მისულა თუ არა ფაბრიკაში, მუშებს ისეთი სტვენა და ყვირილი აუტეხიათ, რომ გენერალი უკანვე გამობრუნებულა და 60 ათას წიგნიდან მხოლოდ ექვსი-ღა დაურიგებია. როგორც ვაცით, ამ წიგნების გამოცემაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ხარჯავს ყოველ წლიწადს 150 ათას მანეთს. („ნ. შ.“).

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ვაჩნაძიანი (კახეთი). გლეხთა მოძრაობამ პირველად ამ სოფელში იჩინა თავი. მართალია ვაჩნაძიანი კარგა დიდი სოფელია, მაგრამ სკოლის ხსენება არ არის და, რასაკვირველია, წერა-კითხვის მცოდნე ნაკლებად მოიპოვება. მაგრამ მაინც ვის ყურს გამოეპარებოდა ბ-ნ კრიმ-გირეის მოგზაურობა გურიაში, ვინ არ მიაქცევდა ყურადღებას დეპუტატების მოხსენებას. ამ სოფლელთაც გაიგეს ეს ამბავი და მწუხარებით დასძინდნენ, „ჰე ისინიც ჩვენს დღეში ყოფილან; ი მამაცხოვებულ თორმეტ კაცს (ასე უწოდებენ დეპუტატებს) ისე ოჰტატურად ულაპარაკნიათ, რომ არა თუ თავიანთი, ჩვენი დარდი და ვარამიც სულ უცნობებებიათ ი ჩინოვნიკისთვინ (კრიმ-გირეი)“. დიახ ყველაზე უწინ ვაჩნაძიანში იფეთქა გლეხთა მოძრაობამ. გაისმა გაჭირვების ფიალა, მოთმინებამ უცბათ ყოველ მხრიდან გადმოხეთქა. გლეხმა იგრძნო შეერთების ძალა ჯერ ისევ ქურდობის მოსპობაში, როცა ლინჩის კანონს მიჰმართა მინდვრები კაცს არ შეუქმნია და ტყე არავის აუშენებია, ბუნებამ ასე გააჩინა და ყველანი ბუნების შვილნი ვართ, ამბობდნენ გლეხ-კაცნი, მაშასადამე ყველას გვეკუთვნისო. ამას გარდა ლაპარაკობდნენ ერთ მემამულეს ვენახი უნდა გადაუჩეხოთ და ისევ იქ დავსახლდეთ, საიდანაც ჩვენი მამა-პაპა აუყრიათო, მაგრამ არ განუხორციელებიათ ეს იმ ერთ ინტელიგენტის წყალობით, რომელიც შემდეგ თავადიშვილების მტრად იქმნა ცნობილი ადმინისტრაციისაგან. მხოლოდ ტყეში-კი წავიდნენ და კაფვა დაუწყეს. მემამულეებმა გლეხთა მოძრაობა გაჭირვებას-კი არა, აგიტატორებს და ვინ იცის ვის არ მიაწერეს და რას არ ამბობდნენ. მალე აქ სოფელში გაჩნდა ნახევარი როტა სალდათი, ხოლო მერე დრაგუნებიც მოვიდნენ. ხალხი სალდათებს შეეჩვია, ისინი არაფერს უშავებდნენ, პირიქით აფიცრები, სანოვაგეს უსაღებდნენ მცხოვრებთ და ცოტაოდნათ ასარგებლებდნენ. მოძრაობა არ ჩამქრალა, თუმცა სალდათები იდგნენ. მოქაულიც ჩამოვიდა და რამდენიმე კვირა დაჰყო სოფლის კანცელარიაში, ერთ ხანად ჟანდარმის უნტერ-აფიცერიც გვეწვია. მაგრამ ეს არაფერი. სოფელი შეძრწუნდა მაშინ, როცა თელავში სამი გლეხი დაიჭირეს და თელავში დაუპირეს გაგზავნა. მათი ცოლ-შვილი რომ ნამეტნავად შესწუხდა, ეგონათ, ეს არის თვალით ვერას დავინახავთო. სოფელიც კი ადგა, რაზე იჭერენ მაგ უბედურებს, თუ დასწამეს რამე ამ მოძრაობაში, ყველანი მოთავენი ვართო და ყველანი მათთან წაგვიყვანონ, თუ არა და ეგენიც გაანთავისუფლონო, დააპირეს ხელიდან წართმევადა უკან გამოეკიდნენ... ხოლო ის სამი კაცი მაინც წაიყვანეს და თელავის საპყრობილეში დააპატიმრეს. მაგრამ მეორე-მესამე დღეს ისევ უკან დაბრუნდნენ. გამამძიებელს გამოეძია და გაენთავისუფლებინა. სოფლის და ნამეტნავად მათი ცოლ-შვილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შემდეგ ყაზახებიც ჩამოვიდნენ ასეულის ნახევარი ორ სოფელში ვაჩნაძიანში და კალაურში და ეკზეკუციად ჩაუდგნენ მცხოვრებთ. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. წავიდა მაზრის უფროსსა და მომრიგებელ შუამავალთან და ყაზახების გაყვანა ითხოვა. მცხოვრებთა თხოვნა შეიწყნარეს და მართლაც ეგზეკუცია მესამე დღესვე ახსნეს. მოძრაობის დაწყებისას გლეხთ ბოიკოტი გამოუცხადეს თავადიშვილებს, მაგრამ ისევ რამდენიმე დღის შემდეგ მივიდნენ მათთან. თუმცა სოფელს მოთხოვნილება არ შეუდგენია, მაგრამ იმასვე თხოულობენ, რასაც სხვაგან.

კიდევ

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 მაისი

პეტერბურგი, 26 მაისი. უმაღლესი დეპეშები: 1) „ტოკიო, გენ.-ადიუტ. როჟესტვენსკის. სულითა და გულით გმადლობთ თქვენ და ესკადრის ყველა იმ მოსამსახურეებს, რომელთაც პატიოსნად შეასრულეს თავიანთი ვალი ბრძოლაში, მათის რუსეთისა და ჩემდამი თავგანწირულ სამსახურისათვის. განგებითა ღვთისათა თქვენს გულადობას არ მოჰყვა კარგი შედეგი. მაგრამ თქვენის უმწიკვლო სიმამაცით მუდამ იამპარტავნებს ჩვენი სამშობლო; გისურვებთ ჩქარა მორჩენას, დაგიფაროსთ ყველანი უფალმა“. „**ნიკოლოზ**“. 2. „მანილა, კონტრ-ადმირალ ენკვისტს. გულითად მადლობას გიცხადებთ თქვენ, კამანდირებს, აფიცრებს და „ოლეგ“-ისა, „ავრორა“-სი და „ჟემჩუგ“-ის კამანდებს მათის უმაგალითო და პატიოსან სამსახურისთვის მძიმე ბრძოლის დროსა ნუგეშ გყოფდეთ ყველას თქვენს მიერ ვალის წმინდათ შესრულება“. „**ნიკოლოზ**“. 3. „ვლადივოსტოკი, „ალმაზ“-ის კამანდირს ფლიგელ-ადიუტანტ ჩაგინს. სულით და გულით გმადლობთ თქვენ და მოგანდობთ გადასცეთ ჩემი მადლობა „იზუმრუდი“-სა, „ალმაზი“-სა, „გროზნი“-სა და „ბრავი“-ს კამანდირებს, აფიცრებსა და კამანდებს იმ თავგანწირულ მძიმე სიმამაცისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს უბედურ ბრძოლაში. დეე განუგეშებდეთ ყველას ისა, რომ თქვენ წმინდათ შეასრულეთ თქვენი ვალი“. „**ნიკოლოზ**“.

ვაშინგტონი, 26 მაისი. საფრანგეთის ელჩი ეახლა პრეზიდენტს. შემდეგ პრეზიდენტმა მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტის სეკრეტარი, რომელმაც გადასცა მას ამერიკის პეტერბურგელ და ლონდონელ ელჩების დეპეშების თარგმანი. არ იციან, რა ეწერა დეპეშებში. სეკრეტარმა არც იგი სთქვა, თუ რისთვის აყო პრეზიდენტთან და არც ზავის საკითხს შეეხო. ის აზრია გამეფებული, რომ ზავზე მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანს. დიდი სახელმწიფოები ხელს უწყობენ პრეზიდენტს ამ საქმეში.

ვაშინგტონი, 26 მაისი. („მორნინგ-პოსტი“). იაპონია უარს ამბობს ზავის პირობების გამოქვეყნებაზე რწმუნებულთა რჩევამდე. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ საქმე კარგად დაბოლოვდება. 30 მაისისათვის ელიან ოფიციალურ განცხადებას ვაშინგტონიდან.

ერევანი, 23 მაისი. სამს ადგილას ისროდეს ბაზარში. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. 24 მაისს განახლდა სროლა. არ იციან, რა შედეგია. გუშინ საღამოს ქალაქში ომიანობის დროის დებულება გამოცხადდა. ღამით აქა-იქ ისმოდა სროლა. დღეს დაკეტილია დუქნები.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. სტორტინგის დეპუტაცია არ მიიღო მეფემ და შემდეგი პასუხი გაუგზავნა მის პრეზიდენტ ვერნერს: „მე არა მწამს რევოლიუციონური ნაბიჯი, რომელიც გადადგა სტორტინგმა და მით დაარღვია კონსტიტუცია და შელახა მეფის უფლებანი, უარს ვამბობ დეპუტაციის მიღებაზე“. „ოსკარი“.

ბერლინი, 26 მაისი. ტეუილია ინგლისის გაზეთების დაჟინება, ვითომც ვილჰელმს განზრახვა ჰქონდეს ამ ზაფხულს ნორვეგიაში და შვეციაში წავიდეს.

ფეცი, 26 მაისი. სულთანმა მიიღო ინგლისის ელჩი ოფიციალურ აუდიენციაზე. წარმოითქვა სიტყვები, რომლებშიაც უსურვეს ინგლისსა და ოსმალეთს განმტკიცებულიყოს მათ შორის არსებული ტრადიციული მეგობრობა.

პეტერბურგი, 26 მაისი. ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი სამხედრო სამინისტროს განკარგულების ქვეშ დაინიშნა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 მაისი

გუნჩულინი, 26 მაისი. (საკ. კორეს.). იაპონელებმა რომ ომოსო დაიჭირეს ამას, თუმცა დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ გვეუბნება, რომ იაპონელები აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის გზებს სწავლობენ იმ მიზნით, ალბათ, რომ ვლადივასტოკის წინააღმდეგ მოქმედებას აპირებენ. მეორე მხრივ, როგორც ამბობენ, მათ ძლიერ გაუმაგრებიათ მარცხენა ფრთა და მონგოლიის საზღვრამდე გაუწევიათ იგი, რათა თავიდან აიშორონ მტრის თარეში და გარს შემოვლა. ძნელი სათქმელია, როგორ ხასიათს მიიღებს ხმელეთის ამბები, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ მოქმედება ჩქარა დაიწყება, რადგანაც გარეშე მიზეზები აღარ უშლის ხელს.

ტოკიო, 26 მაისი. ტუმოიაცზისთან გაჰფანტეს რუსის მცირე რაზმი. სხვა ცვლილება არაა.

ტოკიო, 25 მაისი. იაპონიის კრეისერ „ნისსინ“-ის აფიცრის სიტყვით, ტოგოს ესკადრამ 8900 მეტრის მანძილზე დაუწყო სროლა რუსების გემებს და მიუახლოვდა მათ 3000 მეტრზე. ბრძოლა ოკინოშიმასთან დაიწყო და გაგრძელდა უცზურიტაუს ჩრდილოეთამდე 20 მილზე. რუსებს ერთი დიდი ნაკლი აღმოაჩნდათ: მათი ყუმბარები მტრის გემების მხოლოდ ანძებსა და საკვამლეებს ანგრევდნენ. როჟესტვენსკიმ ვერ მოახერხა შეემცირებია მანძილი ორივე ესკადრებს შორის, რადგანაც იაპონიის ყუმბარები არ სცდებოდნენ მიზანს. რუსის კონტრ-ნაღმოსნებს არ უცდიათ იერიშის მიტანა. გემების ჯავშანი ჩაინგრა ერთიანად, რაც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ შიმოზა, როგორც ამაფეთქებელი ძალა, უმაღლესის თვისებისაა. რუსის თვითვეულ დიდ გემზე იყო ზარბაზნები, მაგრამ რუსებს არ უსვრიათ. იაპონელების ნაღმები დაახლოვებით 500-600 მეტრზე ხვდებოდა.

პარიზი, 24 მაისი. ოფიციალურ ცნობებიდან მტკიცდება, რომ შეერთებული შტატები ისეთსავე პოლიტიკას დაიჭერენ მაროკოს საქმეებში, როგორც ინგლისი და საფრანგეთი და უარს იტყვიან კონფერენციაზე თავის წარმომადგენლის გაგზავნაზე, თუ ზემოხსენებული სახელმწიფოები არ მიიღებენ პროექტს კონფერენციის გამართვისას.

მოსკოვი, 26 მაისი. გათავდა ზამოსკვორეცკი რაიონის მთის მექარხნეების სიეზდი, რომელმაც საჭიროდ სცნო იმუშამდგომლოს, რომ სამუშაო დროის კანონიერათ მოწყეს-რიგების დროს ცნობილ იქმნას განუწყვეტელი მუშაობა ცემენტის საწვავ ფეჩებსა და ვაგონების დაცლაში. მანვე გადასწყვიტა, იშუამდგომლოს ნება მიეცეთ სიეზდის წარმომადგენელთ დაესწრან გუბერნიის საკრებულოებში საფაბრიკო და სამთო-ქარხნო საქმეების გადაწყვეტას და მიწვეულ იქმნან აგრეთვე მუშების სახელმწიფო დაზღვევის და მათის საკითხის გადასაწყვეტად დაარსებულ კომისიებში.

კოლომბო, 26 მაისი. მოვიდა ამერიკის გემი „გარონნა“, რომელსაც 500 რუსი მიჰყავს ადესაში. კაპიტანმა უარი განაცხადა გზის გაგრძობაზე, რადგანაც რუსებმა არეულობის მოხდენა სცადეს. რუსებს გარდა გემზე 15 ამერიკელია. გემს ჩინელები ემსახურებიან. არეულობის მეთაურებს ბორკილები შეუყარა კაპიტანმა. როცა გემი სინგაპურს უახლოვდებოდა, რუსებმა ამხანაგების განთავისუფლება მოინდომეს. კაპიტანმა რევოლვერი გაისროლა, მაგრამ ააცდინა. რუსები წყალში გადაგდებას ემუქრებოდნენ კაპიტანს და დიდის გაჭირვებით დაამშვიდეს იგინი. კაპიტანმა რუსის კონსულს უამბო ყველაფერი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ვაგზალთან, ვაგზლის ქ., ავეტისოვის სახლში, № 12 ახლათ გადაკეთებული და ახალი ავეჯით მორთული სასტუმრო
„Რ Ო Ს Ტ Ო Ვ Ი“
ოთახი დღე-ღამეში ღირს 80 კაპ.—2 მან. ყველაფერში მეტის მეტი სისუფთავეა.
(1—236—1)

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ
ნ. ა. ბუგაევსკის-ერისთავისა

7 ივნისს საგარაკოდ მიდის სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა). სკოლა იღებს მოსწავლეებს პანსიონერებად, ნახევარ-პანსიონერებად და გარედან მოსიარულებად. სკოლა ამზადებს საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებისათვის. სწავლება ახალ ენებისა. ალექსანდრეს ქუჩ., ვიზიროვის სახლი, № 27. (3—1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
სამ. ბ. თოფურიას
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



Ფ Ე Ხ Ს Ა Ც Მ Ე Ლ Ი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,
მკვიდრი, კაპტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაწრავლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს
„Ლ Ე Ო Პ Ო Ლ Დ Ნ Ე Ი Შ Ე Ლ Ლ Ე Რ-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—37)

ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ-ᲡᲘᲪᲠᲣᲔ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲨᲔᲨᲘᲡᲐ
✦ პ. ი. ქურსხალიასი ✦
ანდრეევის ქუჩა, დამინის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებული და ვიღებთ ყოველ დღე დიდ-ძალ შეშას, სხვა-და-სხვა ღირსებისას; რცხილისას, წიფლისას, [illegible], მუხის და სხვა. მუხის დიდ-ბოძებს. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ [illegible] კისრულობს. შეშა იყიდება [illegible] და ფუთობით. [illegible]
(90—66)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კაჭაძე.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ-ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ
იძლევა საზღაურად გაკვეთილებს ან შესაფერს საქმეს. ადრ. ელისაბედის ქუჩა № 86, ბინა ბუდაგოვისკისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე 4—7 საათ. საღამ. (2—237—1)

[illegible]